



ბაზეთი გამომდის 1999 წლიდან

ქართველობის ვადასარჩენად

ეროვნული  
ნიშნითა

# ილორი

www.ilorige



№ 65 (126) 4 მაისი 2010 სანჯალხო მთკრატობა "სამეგრელოს" ტრანსო 30 თებერი

## ვაიქარტველების მიერ ჩაუღილი ქართულ-აფხაზური გეგმები 6



კვლავ  
ერთად,  
კვლავ  
ერთ-  
მანეთის  
იგაღი... 3

სარგაი ქრემლიოვი  
ლავრენტი  
-ბერიკა  
ეოფე საუკუნის  
საუკეთესო მენეჯერი 4



ბაზეთი "ილორი" უმღვება რუბრიკას  
"მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"  
ფლორია ალბერტი  
აივორი თქვერჩი  
ლუიჯი ალემანდი



12

მებრული  
პოეგირის  
რეფსოფიბა  
კოეტი ლაფა  
ბახარია 5



ლაზიკა, ლაზეთი  
უღიღასი  
ქართული  
ტკივილი 2

ანსორ შონია

2



საით  
მიინსრაფოდნან  
პროგოქარტველები? 9

9

კუკური ფიფია,



ბენეკალი  
მაზნიაშვილი  
ქართული


ჯარის შესახებ

თემურ ქორიძე

7

# ლაზიკა, ლაზთი —

## უდიდესი ქართული ტკივილი



გაგრძელები წერილების ციკლის ბეჭდვას

ბუნებრივია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს თუ მეცნიერებს შორის ბევრს, სწორედ, ლაზური წარმომავლობა ჰქონდათ, ისინი ღირსეული მამულიშვილები იყვნენ და დიდი ამაგი დასდეს მშობლიურ ერს. მართალია, დღეს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა შორის ლაზი თითქმის არ მოიხსენიება, მაგრამ ვინც ქართულ გვარებში კარგად ერკვევა, ადვილად მიხვდება, ქართველებიდან რომელს აქვს ლაზური წარმომავლობა.

ეს რომ თქვენთვისაც გარკვეული იყოს, მიზანშეწონილად მიმართა შევეხო გვარების საკითხს.

მსოფლიოს ხალხებში გვარის ინსტიტუტი შედარებით ახალია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამეფო და წარჩინებულ გვარებს, რიგით მოსახლეობას მუდმივი გვარები XX საუკუნის დასაწყისიდან დაუკანონდათ, ხოლო მუსულმანურ ქვეყნებში — 30-იანი წლებიდან.

მოელ მსოფლიოში საქართველო, ალბათ, ერთ-ერთი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანია, სადაც გვარებს დიდი ხნის ისტორია აქვს.

ხუსტად არ არის დადგენილი, საქართველოში როდის დაკანონდა მუდმივი გვარები. ვარაუდობენ, თითქოს “ქე”-ზე და “შვილ”-ზე დამთავრებული მუდმივი ქართული გვარები ერთიანი საქართველოს ეპოქაში, დაახლოებით XIII საუკუნიდან შემოვიდა, რაც სახელმწიფო რეფორმის შედეგი შეიძლება იყოს. მაგრამ, ეტყობა დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს მკვიდრებს, მეგრელებს (მათ შორის აფხაზებს, ლაზ-ჭანებს, მარგველებს) და სვანებს გვარები გაცილებით ადრინდელი ეპოქიდან უნდა ჰქონოდათ, რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოება — მეგრელებს XIII საუკუნემდე გვარები რომ არ ჰქონოდათ, მათ არც “ქე”-ზე და “შვილ”-ზე დამთავრებული გვარები ექნებოდათ, ვინაიდან ამ სტილის გვარების შემოდების ეპოქაში ეგრისის სამეფო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

უფრო მეტი, ლაზ-ჭანებს გვარები რომ არ ჰქონოდათ, არც დადგენილი ლაზების მახსოვრობას შერჩებოდა თავიანთი უძველესი გვარები და არც დამკვიდრებოდა ცნება “ლაზური გვარი”, ვინაიდან ამ ეპოქაში (XII-XIII საუკუნეები) ლაზიკა, ფაქტობრივად, ერთიანი საქართველოს შემადგენლობიდან გასული იყო.

საერთოდ, როდისა და სადაც გვარები მეგრელებს, ძნელი დასადგენია, რადგანაც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ეგრისის სამეფოს ისტორია თითქმის უცნობია და იმ ეპოქის მეგრული მოღვაწეების გვარები ისტორიას არ შემორჩა.

ყოველ შემთხვევაში, აღიარებულია, რომ უძველესი ქართული გვარი არის მეგრულ-ლაზური გვარი “ბაღვაში”, რომელიც ცნობილია VII საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ბაღვაშები მარგვეთის მფლობელი ერისთავები გახდნენ.

შემდგომში ამ გვარიდან სხვა გვარებიცაა ნაწარმოები და დადიანების პირვანდელი გვარიც ბაღვაში უნდა იყოს. უფრო მეტიც, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ლაზური გვარი IV საუკუნიდან არის ცნობილი და ეს გვარი შეიძლება იყოს “პიტიახში”.

მართალია, “პიტიახში” თანამდებობად ითვლება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი სუფთა ლაზური გვარია.

ისტორიაში ცნობილი არიან V საუკუნის მოღვაწეები არშუშა პიტიახში და მისი შვილი ვარსკენ პიტიახში. სწორედ ვარსკენ პიტიახშია შექმნილი პირველი ქართული თხზულება “შუშანიის წამება”. ეტყობა, ის სპარსეთის მეფის ქვეშემრდომად ითვლებოდა და იძულებული იყო მახდევინობა მიეღო.

შემდგომში, ვარსკენ პიტიახში საქართველოს დიდმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა (V-VI ს.ს.) მოაკვლევინა.

არშუშა და ვარსკენი ქართლის პიტიახშიდან ითვლებოდნენ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არასწორია. უფრო გამართლებული იქნება, თუ მათ ჩავთვლით სპარსეთის მეფის მიერ ქართლის ერისთავებად დასმულ ლაზ ფეოდალებად, რომელთა გვარი პიტიახში იყო.

ამ გარემოებას ანგარიშგასაწევს ხდის ცნობილი ქართველი მოღვაწის, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიკვლეული ბეჭედი, რომელზეც წარწერილია მისი პატრონის ვინაობა — “უნა პიტიახში”.

“უნა” სუფთა მეგრულ-ლაზური სახელია, რომელიც შავს ნიშნავს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს პიტიახშების ლაზობაზე.

ერკვევა, რომ მეოთხე საუკუნის მოღვაწე უნა პიტიახშიც ქართლის ერისთავია და არშუშა და ვარსკენ პიტიახშების წინაპრად მიანიათ.

ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უძველესი ქართული გვარი, რომელიც ისტორიას შემორჩა, არის ლაზური გვარი “პიტიახში”.

სხვათა შორის, ის გაუგებრობა, რომ მარგვეთის საერისთავოს მფლობელებს, ბაღვაშებს, VII საუკუნიდან, აღმოსავლეთ საქართველოში ეკუთვნოდა კლდეკარი, ორბელი, სკვირეთი და ატენი, შეიძლება სწორედ პიტიახშების დამსახურება იყოს — მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა ვარსკენ პიტიახში, ისტორიაში პიტიახშები აღარ ხსიანან, მაგრამ VII-VIII საუკუნეებში, ქართლის ერისთავებად ჩანან სხვა ლაზი დიდებულები — ბაღვაშები. ეტყობა, მათ ეს მამულები პიტიახშების შემდეგ მიიღეს. შესაძლებელია, როგორც შემკვიდრებმა.

დაახლოებით VI-VII საუკუნეების მოღვაწეებზე მოგვითხრობენ ლაზური თქმულებები, რომელთა პერსონებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული გამირები არიან. მათ შორის გამოირჩევიან პეტრე ხეცია, კახაბერი და სხვები (ბროშურა “ლაზები”, იური სიხარულიძე, 1999 წელი).

“კახაბერი” ლაზური გვარია და ნიშნავს “კახას შვილს”. ეს გვარი მცირედ შემორჩა, მაგრამ საფუძვლად დაედო გვარებს — კახაბერიძეს და კახაბერიშვილს.

“ხეცია” მეგრული თვადური გვარია, რომლის ძირი სენაკის რაიონშია. გვარი “ხეცია” ამ ფორმით არ შემორჩა. დღეს იგი “მხეციძე” მოიხსენიება და გავრცელებულია იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. თუმცა, სამეგრელოში მხეციძეებს დღესაც “ხეციებს” ეძახიან.

ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ქართული გვარებიდან ისტორიას თითქმის IV-VI საუკუნეებიდან შემორჩა მეგრულ-ლაზური გვარები. ბუნებრივია, ლაზებს, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლებს, გვარები გაცილებით ადრე ჰქონდათ, ვიდრე ისინი მშობლიურ ერს მოსწყვდებოდნენ (XIII

საუკუნე).

მართალია, დღეს, თურქეთში ლაზებს, ძირითადად, თურქული ფორმის გვარები აქვთ, მაგრამ თითქმის ყველას ახსოვს თავისი ლაზური გვარი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მათ კარგად იციან, თუ ვისი გვარისანი არიან.

დადგენილია, რომ მეგრული გვარების მაწარმოებელი დაბოლოებები “ია”, “უი”, “ვა”, “ში” (ში — მეგრულ-ლაზური კუთვნილებითი სუფიქსი), “ბერი” (ლაზურად — შვილი), “სქირი” (ჭანურად — შვილი), “ჭკორი” (მეგრულად — ყმა).

არსებობს კიდევ დაბოლოება “ბა”, რაც აფხაზური გვარების დაბოლოებად ითვლება, მაგრამ მთლად ასე არ არის. მიღებულია, რომ ზოგიერთი მეგრული გვარი ხალხში მოიხსენიება დაბოლოების გარეშე: ანთელავაზე იტყვიან — ანთელა, გერგელავაზე — გერგელა, მიქაიაზე — მიქა, ზუხბაიაზე — ზუხბა, ჩიქობავაზე — ჩიქობა, თარაბაიაზე — თარაბა, შამბაიაზე — შამბა, ძვამბაიაზე — ზვამბა, კაკუბავაზე — კაკუბა და ასე შემდეგ.

ამდენად, “ბა”-ც მეტწილად მეგრული გვარების დაბოლოებაა, მაგრამ მხოლოდ იმ გვარების, რომლებიც ხალხში ლიტერატურული დაბოლოების გარეშე იხსენიება.

მართალია, სამეგრელოს რეგიონებში სპეციფიური მეგრული გვარებია გავრცელებული, მათ შორის აფხაზეთშიც და ლაზიკაშიც, მაგრამ ვინც მეგრულ გვარებში კარგად ერკვევა, ხვდება, რომელი გვარი რომელი რეგიონისთვისაა მახასიათებელი.

მეგრული გვარებიდან უშუალოდ ლაზური გვარები “ში”-ზე და “ბერი”-ზე დამთავრებული გვარები, ხოლო “სქირი”-ზე დამთავრებული გვარები ჭანური გვარებია:

ჯაში, ტულუში, გეგეში, გურეში, ხაღვაში, მეიშიში, ვანილიშიში, ტრაპშიში, ბაღვაში, სახირიში, ცარტეში, ბაღდიში, აბაში, ჯანაში და ა.შ.

კახაბერი, თუთაბერი, კაკუბერი, ჩაკაბერი, ლოლიბერი, გოგობერი, ლოსაბერი, დოლაბერი, მაცაბერი, კობერი, გუმბერი, ღვამბერი და ა.შ.

წულესქირი, პაპასქირი, კვეკვესქირი, ბუღესქირი, გაბესქირი და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლაზიკის დიდი ნაწილი, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, XIII საუკუნიდან მოსწყდა საქართველოს და ლაზების უმეტესობა დღეს თურქეთში (ცხოვრობს, მაგრამ ლაზიკის ის დიდი ნაწილი, სადაც დღეს გურია და აჭარაა, საქართველოს ფარგლებში დარჩა).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაზები ეგრისის სამეფოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობდნენ, ბუნებრივია, რომ მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ საქართველოში, ოღონდ ლაზებად არ იწოდებიან. ისინი დღეს მეგრელებად, იმერლებად, გურულებად, აჭარლებად და რაჭველებად მოიხსენიებიან.

თქვენ ეს ლაზების დაწავრად არ მიიღოთ, ასევე მეგრელების მიმართაც. მეგრულთა უმეტესობა დღეს იწოდება იმერლებად, გურულებად, აჭარლებად და რაჭველებად, იმის მიხედვით, თუ რომელ კუთხეში ცხოვრობს.

მითუმეტეს, რომ, დღეს, საქართველოს სინამდვილეში ლაზიკა, როგორც კუთხე, აღარ არსებობს და საქართველოში მცხოვრები ლაზები, სრულიად კანონზომიერად, იმ კუთხის დირსეული წარმომადგენლები არიან, სადაც ცხოვრობენ. ბუნებრივია, ლაზური გვარების უმეტესობამ იმ კუთხის გვარების ფორმა მიიღო, სადაც ისინი ცხოვრობენ.

სამეგრელო — ლაზური გვარების ბოლოში “ა” დაემატათ: ჯანაში გახდა ჯანაშია, აბაში — აბაშია, კაში — კაშია, გოთოში — გოთოშია, ჯგვიში — ჯგვიშია, მორგოში — მორგოშია, ყორში — ყორშია, შარაში — შარაშია და ა.შ.

თუთაბერი გახდა თუთაბერია, გიგობერი — გიგობერია, ჩაკაბერი — ჩაკაბერია, კაკუბერი — კაკუბერია და ა.შ.

ბუღესქირი გახდა — ბუღესქირია, გაბესქირი — გაბესქირია და ა.შ.

აჭარაში, გურიაში, იმერეთში და რაჭაში ლაზურ გვარებს ბოლოში ძირითადად “ქე” დაემატათ.

თუ დღეს საქართველოში “ში” და “სქირი”-ზე დამთავრებული გვარები მეტწილად შემორჩენილია, თითქმის არ არის შემორჩენილი, პირვანდელი ფორმით, “ბერი”-ზე დამთავრებული ლაზური გვარები.

სხვათა შორის, “ბერი”-ზე დამთავრებული ლაზურ გვარებს “ქე” დაბოლოება დაემატა იმ ეპოქაში, როდესაც ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე წარმოჩინდა პირველი ქართულენოვანი იმერეთის სამეფო (XV საუკუნე). როდესაც “ბერი”-ს მნიშვნელობა, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო დაკარგა, იყო, თორემ ასეთი მეთოდი შექმნილი გვარები გარკვეულ უხერხულობას ქმნიან.

ავიღოთ გვარი “თუთაბერი”, რაც ლაზურად ნიშნავს “მთავრის შვილს” და მასზე “ქეს” ან “შვილის” დამატება ყოველად უშინაარსოა, მაგრამ დღეს ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა ადარა აქვს.

ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ საქართველოში თითქმის ყველა გვარი, რომელშიც დაბოლოებების “ქე”-ს, “შვილის”-ს და “ა”-ს წინ ზის “ში” ან “ბერი”, ყველა ლაზური გვარია და ასეთი გვარის მატარებელი ხალხი, მიუხედავად იმისა, დღეს ისინი იმერლებად, აჭარლებად, გურულებად და რაჭველებად იწოდებიან, მაინც ლაზების პირდაპირი შთამომავლები და ჭეშმარიტი ქართველები არიან.

აღსანიშნავია, რომ გვარი “ბერიძე” ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში. როგორც ცნობილია, საზოგადო მოღვაწე ვუკოლ ბერიძე ამბობს, თურმე ბერიძის პირვანდელი ფორმა ყოფილა “ბერია” და ამ გვარის ძირი სოფელი “საბერიო” ყოფილა გალის რაიონში.

ამ მოსაზრებას ანგარიშგასაწევს ხდის ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველოში ბერიძეებს დღესაც “ეგრისელაანთ (მეგრულ) ბერიძეებად” მოიხსენიებენ.

ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან საქართველოში ლაზებს, ფაქტობრივად, ყოველთვის მეგრელებად აღიქვამდნენ...

...ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ლაზური გვარი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, ვინაიდან აშკარაა, ლაზებს ამ ეპოქაში (V-VI საუკუნეები) გვარები უკვე ჰქონდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მეგრული გვარები ექნებოდათ...

...ამდენად, ლაზები და მეგრელები, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ხალხია. საქართველოში, მათ, ხშირად, საერთო სახელითაც კი მოიხსენიებდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხი მათ ყოველთვის ჭეშმარიტ მეგრელებად აღიქვამდა.

მეგრელებსა და ლაზებს შორის ისეთივე უმნიშვნელო განსხვავებაა, როგორც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ მეგრელებს შორის, დაახლოებით საკუთრივ მეგრელებსა და აფხაზეთ-სამურზაყანოს მეგრელებს შორის და ლაზებიც ისეთივე სრულყოფილებანი და ჭეშმარიტი ქართველები არიან, როგორც ქართლელები, მეგრელები, კახელები, იმერლები, გურულები, აჭარლები, სვანები, რაჭველები, მესხები, ჯავახები, მთიულეები, ხევსურები, თუშები, ფშაველები თუ მოსხვეები.

**ანზორ შონია, “ფაზისის” აკადემიის ნამდვილი წევრი**

# კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

კიდევ ერთი ჩანგრეული ხიდი აღსდგა ქართველებსა და აფხაზებს შორის – 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა ერთობლივად გამოსცეს პროფესიით ექიმის პაპაბა შურაღოშანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებული ილუსტრირებული “ქართულ-აფხაზური ალბომი”. მასში XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა აღწერილი, რომელიც სათანადო უნიკალური ფოტომასალებითაა დადასტურებული. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო, იმ ხანგრძლივი ეპოქისა, რომლის დასაწყისი საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. გთავაზობთ სტატიებს აღნიშნული შურაღოშანიძის.

აფხაზეთის მთავარი ბიოგრაფი მისილინს ამ შარვაშიძე-ჩანბა

როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გიორგი შერვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც რომელმაც შობა და ის დედაც რომელმაც თავისი რძით გამოკვება. მას მათთვის არ უღალატნია მათი სიღარიბისა და დამცირების დროს და ცხოვრების გზის დასასრულამდე შეინარჩუნა რწმენა, რომ ორივეს ბედნიერი მომავალი ელოდა.

გერონტი ქიქოძე

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის უფროსი ვაჟი, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე გამორჩეული ფიგურაა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიაში. მთელი მისი შემოქმედება, მსოფლმხედველობა მიმართული იყო ქართველთა და აფხაზთა ძმობისა და სიყვარულის გასაღრმავებლად. გიორგი შარვაშიძის ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისადმი მიდგომის პოლიტიკამ დიდი როლი ითამაშა თანამედროვეთა ცნობიერებაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცარიზმმა, კავკასიელი მთიელების მრავალწლიანი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, უკანასკნელი ქართული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები: სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებიც გააუქმა და ქვეყანა ორ – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად აქცია...

სამთავროების გაუქმებას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მურზაყან და დეშქელიანის მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გაგარინის ხანჯლით აკუწვის ამბავი (რომელსაც ღამაში პოემა უძღვნა შესანიშნავმა აფხაზმა პოეტმა იუა კოდონიამ – “ილორის” რედაქცია) ევროპის პრესაშიც გახმაურდა. სვეუბელური სვანეთის მთავარი დახვრიტეს.

საკმაო ძალისხმევა დასჭირდა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანის პეტერბურგში გაწვევასაც.

შემდგომ აფხაზეთის სამთავროს არსებობის საკითხიც დადგა. მთელ საქართველოში და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დიდი ავტორიტეტის მქონე იმ დროისათვის ჯანგაბეხილი აფხაზეთის მთავარი, მიხეილ შერვაშიძე, 1864 წელს იძულებული გახდა იმპერატორის ნებას დამორჩილებოდა, მოსახლეობისათვის ცარიზმის მორჩილებისაკენ მოეწოდებინა და წინააღმდეგობის გაუწევლად გადაემდგარიყო. აფხაზთა ბრძენმა თავკაცმა კარგად იცოდა ცარისტთა ზრახვანი, მიზნის მისაღწევად ისინი არავის დაერიდებოდნენ და ზღვა სისხლს დაღვრიდნენ. სწორედ ამიტომაც, მშობელი ხალხისათვის განსაცდელის თავიდან არიდების მიზნით, იგი ძალას დამორჩილდა. ამ

გადაწყვეტილების საფასურად კი მშობლიურ კუთხეში დატოვება ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქუთაისში დასახლების უფლება ითხოვა. თუმცა, ცარისტული ადმინისტრაციისთვის ეს უწყინარი თხოვნაც მიუღებელი აღმოჩნდა. ყასიდად თანხმობა განუცხადეს, გემზე მოტყუებით აიყვანეს და ფოთისკენ მგზავრობის მომლოდინე ნოვოროსისკიდან ვორონეჟს გაუყენეს.

მიხეილ შერვაშიძე იმ მგზავრობისას, ვინ იცის, რა ფიქრებით ეთხოვებოდა მშობლიურ სანახებს. ალბათ, ნანობდა კიდევ წლების განმავლობაში რომანოვთა საიმპერატორო სახლისადმი თავდადებასა და რუსეთის ინტერესების დაცვას. ისტორიული წყაროები ამაზე დუმიან, მაგრამ სიტუაციის ტრაგიზმი იმაშიც იგრძნობა, რომ იმპერიის დალატში დადანაშაულებული (რაც შემდგომში ვერაჟინ დაადასტურა) მთავარი, აფხაზეთს შეიღებთან გამოუმშვიდობებლად განაშორეს.

ორიოდე წლით ადრე, ხანგრძლივი ავადმყოფობით შეწუხებულმა მიხეილმა იმპერატორს თავისი უფროსი ძისთვის ტახტის გადაცემის თხოვნა აახლა. გიორგი ამ დროს თბილისში მეფისნაცვლის ადიუტანტად მსახურობდა. ამ მოთხოვნაზე მას უარი ეთქვა: თქვენი ვაჟი, თავისი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო, ამ საქმისთვის ვერ გამოდგებაო. “ამ პასუხის ნამდვილი აზრი მიხეილისთვის გაუგებარი არ დარჩენილა და პროტესტის ნიშნად მან ითხოვა თავისი განთავისუფლება ნამდვილი სამსახურისაგან. მიხეილი გულისხმობდა გენერალ-ადიუტანტის წოდებასა და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხს, რომელიც მას რუსის მთავრობისაგან ჰქონდა მინიჭებული” (ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, სოხუმი, 1946, გვ. 14).

დრომ ცხადყო, რომ მიხეილ შარვაშიძე არ შემცდარა, როცა არჩევიანი უფროს ძეზე შეაჩერა. სახელმწიფო საქმეებში მეტად გამობრძმედილ, კავკასიელთა პრობლემებში ზედმიწევნით გათვითცნობიერებულ აფხაზეთის მთავარს თავიდანვე ზუსტად განუჭვრეტია მემკვიდრის პოტენციური შესაძლებლობები, რომელსაც საფუძველი დედამ და პაპიდან – ალექსანდრა და კესარი დადიანებმა, მისი ტრადიციული ქართული საგანმანათლებლო პრინციპებით აღზრდისას, დაუდეს. ყოველივე ეს გიორგი შერვაშიძის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაზეც აისახა, რომელთა უკან ევროპულად განსწავლული, რუსული, ლათინური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური ენების ბრწყინვალედ მცოდნე მოაზროვნე იდგა.

გიორგი შერვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ბევრი რამ დაწერილა. უპირველესად, უნდა გაეცხენოთ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დღესაც აქტუალური, უადრესად საინტერესო წიგნი: “გიორგი შერვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი”. ყურადსაღებია გრიგოლ რობაქიძის, შალვა დადიანის, გერონტი ქიქოძის, სოლომონ ცაიშვილისა და სხვათა ესსეები თუ მოვონებები. არც შემდგომ წლებში დატლებია მას ქართველ მკვლევართა ყურადღება: გიორგი შერვაშიძის შემოქმედებაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი დაგვიტოვა ოთარ ჭურდულიამ. აფხაზი მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმოიხილეს ავთანდილ ნიკოლაიშვილმა და თათული ღვინიაშვილმა. ელგუჯა თავბერიძემ გამოსცა ორტომეული, რომლის პირველ ტომში შევიდა სიმონ ჯანაშიას ზემოთ დასახელებული წიგნი, ხოლო მეორე ტომში – გიორგი შერვაშიძისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ავტორების წერილები. მსგავსი ინტერესი შემთხვევითი ნამდვილად არ არის. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



აფხაზეთის მთიანეთი

აფხაზეთის მთიანეთი



ელენე ერასტის ასული ანდრევესკაია-შერვაშიძისა



გიორგი შარვაშიძის ბებია – ბარბარე ისლამის ასული და დეშქელიანი-დადიანისა და ბიძები კონსტანტინე (კოწია) და გიორგი დადიანები



აფხაზეთის მთავარი მიხეილ (პამუთ-ბეი) გიორგის ძე შარვაშიძე-ჩანბა



გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე-ჩანბა

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო

მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალალანიანი



მესხეთე — კრემერი — 1942 წლის აგვისტომდე ურსულა ბარტონ-კუჩინსკაიას (სონია) მუშევრებით ამყარებდა კავშირს ლონდონში ატომურ ბომბზე მომუშავე მეცნიერ კლასს ფუქსთან, შემდეგ — 1943 წლის ივლისამდე იყო უცხო ენათა სახელმწიფო სამხედრო ინსტიტუტის დასავლეთის სახელმწიფოთა ფაკულტეტის უფროსი. 1943 წლის ივლისიდან ფორტზეა, 1944 წელს დაინიშნა გვარდიის მე-8 მექანიკური ბრიგადის მეთაურად, დაიჭრა მძიმედ, მინიჭებული ჰქონდა სატანკო ჯარების გენერალ-მაიორის წოდება, 1944 წელს გახდა საბჭოთა კავშირის გმირი, 1945-1956 წლებში სარდლობდა გვარდიის მე-5 მექანიკურ ბრძოლაში. 1956 წელს გავიდა თადარიგში. 1990 წელს გარდაიცვალა ოდესაში.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, გარკვეულ ეტაპამდე გარეგნულად ხუთი აბსოლუტურად იდენტური ბიოგრაფიაა, თუმცა — შინაარსით ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული.

და აი, კიდევ ერთი, ამჯერად კადრის ჩეკისტის, ბერიას თანატოლი პოლიკოვნიკის სტანისლავ ალექსეის ძე ვაუპშასოვის (ვაუპშასის) ბედი.

ლიტველი გლეხის შვილმა, როგორც იტყვიან, გაიარა ცხოვრების ნათელი და მქუხარე გზა. 20-იან წლებში პარტიზანობა ბელორუსიის ტყეებში, იბრძოდა ესპანეთში, იყო არალეგალი.

დიდ სამამულო ომში **“მაიორი გრადოვი”** მეთაურობდა სპეცრაზმ **“დაუმარცხებელს”**, 1944 წელს კი პოლ-პოლიკოვნიკი ვაუპშასოვი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა...

ვაუპშასოვმა ერთ-ერთმა უკანასკნელმა დახტოვა ესპანეთი 1944 წლის მარტში. იგი არავის გამოუწვევია 1937 წელს ესპანეთიდან, როგორც, მაგალითად, გამოიწვიეს ორლოვ-ფელდინგი. და ეს არც არის კასოცარი! სტანისლავ ვაუპშასის უმწიფრო ბიოგრაფიაა ჰქონდა — მისი სიწმინდე დადასტურებულია ანკეტით, რომელშიც იკვეთება რაინდისა და ხალხის ერთგული ჯარისკაცის სახე.

1939 წლის 19 მაისს ვაუპშასოვი საფრანგეთის გავლით კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა გემ **“უღიანოსკით”**, რომელსაც ასევე ჩამოჰყვა ესპანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი დოლორეს იბარერი.

1939 წლის მიწურულს იგი ფინეთის ფორტზეა, შემდეგ კი კვლავ წელიწადნახევარი არალეგალურად მუშაობდა ევროპაში, საიდანაც სტანისლავი უკვე 1941 წელს დაბრუნდა. შინსახკომის განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელთა ბრიგადის შემადგენლობაში მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლის შემდეგ, **“მაიორი გრადოვი”** ფორტის ხაზს მიდმა თხილაშურებით წავიდა მინსკის მიდამოებში.

რამდენიმე წლის შემდეგ ვაუპშასოვმა დაწერა წიგნი **“საგანგაშო გზაჯვარედინებზე”**, და აი, რას სწერდა იგი 1939 წლის გაზაფხულის შესახებ:

**“ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ მე საკმაოდ დიდი ხანი ვეგუებოდი მშვიდობიან ცხოვრებას ახმაურებულ და გაღამაზე მდებარე მოსკოვში, ვცდილობდი შეგვუბოდი ოჯახურს საზრუნავს.**

**შეგუბლება მეუღლესთან ერთად გავატარე ლენინგრადის გარეუბანში... მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ვმუშაობ-**

**დი სსრკ შინსახკომის ერთ-ერთ სამართველოში. ვცხოვრობდი ოჯახში, სამსახურში დავდიოდი მშობლიური მოსკოვის ქუჩებით, ვტკბებოდი ქალაქის ცხოვრების აჩქარებული ტემპით”.**

როგორც ვხედავთ, ვაუპშასოვი არავის შეუწუხებია შემოწმებებით. პირადად მისთვის ეს ნიშნავდა, რომ მას ენდობდნენ. ჩვენთვის კი, ძვირფასო მკითხველო, ეს კიდევ ერთი დასტური გახლავთ იმისა, რომ 1939 წლის ნოემბრის სსრკ შინსახკომი ყველა უცხოეთის მივლინებიდან დაბრუნებულს არ უცხადებდა უნდობლობას. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ბერია შემოწმების გარეშე ენდობდა ყველას — მოგვიანებით ჩვენ ამასი დაგვრწმუნდებით...

საბჭოთა სპეცსამსახურების შექმნისა და 1938-1939 წლებში მის საქმიანობაში ლაგერენტი ბერიას როლზე, მიუხედავად მისი სახელის გარშემო დატრიალებული სიცრუისა და ცილისწამების კორიანტელისა, უამრავი რამის თქმა შეიძლება, რადგან უამრავი დადებითი მაგალითი გავაჩინია.

ავიღოთ ვიქტორ ჩებრიკოვი, რომელიც 1982-1988 წლებში თავკაცობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს. ის **“ლუბიანკის”** მაღალჩინოსანთა ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელსაც ხელზე აცხია საბჭოთა კავშირის სისხლი, რომელმაც სახელმწიფო ელცინსა და გორბაჩოვს მიუგლო საჯიჯგანად, რომელთაც შემდეგ ყველაფრის განადგურებაში გაწაფული **“დემოკრატები”** და **“ოლიგარქები”** ჩაენაცვლენენ.

1988 წლის 2 სექტემბერს მან ინტერვიუ მისცა გაზეთ **“პრავდას”**, რომელსაც უკვე დიდი ხანია ჰქონდა აღებული ხელი რაიმე სიმართლის შემცველი ინფორმაციების ბეჭდავზე. ჩებრიკოვმა მაშინ განაცხადა:

**“შეთსუული ბრალდებების საფუძველზე რეპრესიებმა შეიწირეს ოცი ათასი ჩეკისტის სიცოცხლე. ესენი იყვნენ მაღალი დონის პროფესიონალები და კომუნისტური პარტიის ერთგული წევრები”.**

მაგრამ მწერალ ივან პიხალოვს, თავის წიგნში **“სტალინის ეპოქა: ფაქტები მითების წინააღმდეგ”**, სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სარეჟისო მასალაზე დაფუძნებით მოჰყავს ციფრები 1933-1939 წლებში სსრკ შინსახკომისა და მთავარი პოლიტსამმართველოს რეპრესირებული თანამშრომლების შესახებ. მოდიტ, გადავხედოთ ამ ციფრებს!

აქვე აღვნიშნავთ, რომ მის ციფრებს კიდევ ერთხელ ამტკიცებენ მის სიყალბეს, და თუ რატომ, ამას მალე ავიხსენით.

ცნობაში ასეთი ციფრებია მოყვანილი:

წელი	დაპატიმრებულია
1933	738
1934	2.860
1935	6.249
1936	1.945
1937	3.837
1938	5.625
1939	1.364
<b>სულ:</b>	<b>22.618</b>

საოცარ ნახტომს ვხედავთ 1934 წელს: დაპატიმრებულია რიცხვი თითქმის ოთხჯერ არის გაზრდილი! რატომ?

უწყების ხელმძღვანელი იყო და ამ პოსტზე დარჩა იავოლა, მას კი ჰქონდა ასეთი თვისება — რაც შეიძლება მეტი თავისი თანამშრომლის სიგლახე მიეჩქმალა.

განსაკუთრებული შედეგები იმ პერიოდში არც გამოჰქვამებოდა. არც ზემოდან ყოფილა რეპრესიების გამკაცრების მითითება.

და მაინც საიდან ასეთი ზრდა? ყველაფერი ეს ოთხი ასახსნელია: 1934 წლის 10 ივლისს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. და

ახლა იავოლას განკარგულებაში იყვნენ არა მხოლოდ საკუთრივ ჩეკისტები და მუშურ-გლეხური მილიცია, არამედ, დამატებით:

— სახანძრო დაცვის მთავარი სამართველო;

— მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩაწერის განყოფილება;

— ტყის დაცვის სამსახური...

ეს კი ნიშნავდა პერიფერიული სტრუქტურების თანამშრომელთა რაოდენის მკვეთრ ზრდას, რაც ნიშნავდა კადრების პროფესიონალიზმის დაქვეითებას (მშანის ბიუროებში ხშირი იყო ქრთამის აღების ფაქტები, მეხანძრეები ხშირად არ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, მეტყველები კი ტყის უსაბუთოდ და უთავბოლოდ ჭრას ხელს უწყობდნენ გარკვეული სარფის ფასად და ა.შ.).

მართალია, ჯერ კიდევ 1932 წლის შემოდგომაზე სახანძრო დაცვის ფუნქციები თავისი სტრუქტურებიანად გადაეცა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს (მაშინ სპეციალური განყოფილება შეიქმნა). მაგრამ ხანძარსაწინააღმდეგო ქვედანაყოფთა საქმიანობის მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა მთავარი სახანძრო სამმართველოს შექმნის შემდეგ.

გარდა ამისა, სკკპ პოლიტიბიუროს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს 1934 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით იუსტიციის სახალხო კომისარიატის ყველა შრომა-გასწორებითი კოლონია (ციხეები, საპატიმროები, იზოლატორები, იძულებითი სამუშაოების ბიურო) გადაეცა ახალი შინსახკომის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს (**გულაგი**). ეს ჩვენი **“დემოკრატებისათვის”** სიტყვა გულაგი მხოლოდ ციხეს ნიშნავს, მაგრამ 1934 წლის 27 ოქტომბრამდე ეს სხვადასხვა ციხეები გახლდათ. ამ სტრუქტურის გაჩენა კი იმას ნიშნავდა, რომ პატიმართა რიცხვი შეივსებოდა არა უბრალო მოქალაქეთა რიცხვიდან, არამედ შინსახკომის სისტემის თანამშრომლებიდანაც.

ამავე დროს, სსრკ შინსახკომის შექმნასთან დაკავშირებით გაიზარდა მისი შტატიც — როგორც ცენტრალური, ასევე პერიფერიული. სტრუქტურები შეივსო ახალგაზრდა მილიციელებითა და ჩეკისტებით. ეს კი თავისთავად ნიშნავდა, რომ შესაბამისად გაიზარდებოდა დაპატიმრებულია რიცხვი დამნაშავე მილიციელებითა და ჩეკისტებით.

სწორედ ამიტომ გვაქვს სახეზე ასეთი ნახტომი 1934 წელს!

1935 წელს, როცა ახლადშექმნილ სსრკ შინსახკომს ერთი წელი შეუსრულდა, 1933 წელთან შედარებით დაპატიმრებულია რიცხვი გაიზარდა თითქმის რვაჯერ. აქაც ყველაფერი იოლი ასახსნელია. ახლა უკვე სტატისტიკას ავსებდნენ დამნაშავე მეხანძრეები, მშანის ბიუროთა თანამშრომლები და ტყის დაცვის სამსახურის მუშაკები. ახერ, წესრიგის დამყარებას ახლა თავად იავოლამ მოჰკიდა ხელი და იძულებული იყო პატიმართა რიცხვები შეეცხო მეხანძრეთა ხარჯზე, თუმცა სახანძრო სამსახურში საბოლოოდ მაინც არ დამყარდა წესრიგი...

1936 წელს მდგომარეობა ქვეყანაში უფრო სტაბილური გახდა და ეს დაპატიმრებულია სტატისტიკაზეც აისახა. როგორც შინსახკომის ცენტრალურ აპარატში, ასევე პერიფერიებში მკაცრი ზომების გატარებამ შედეგი მოიტანა და იქ წესრიგმა დაისადგურა.

1937 და 1937 წლები შინსახკომის სისტემაში გამოირჩა დაპატიმრებულია რიცხვის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მატებით. ეს მანქნებელი ბუერად ჩამორჩებოდა 1935 წლის ციფრებს, რაც უკვე თავისთავად მიუთითებს, რომ სსრკ შინსახკომის სისტემაში არავითარი **“დიდი წმენდა”** არ ჩატარებულა.

რაც შეეხება შინსახკომის სათავეში ბე-

რიას მოხვლას, მისი დანიშნვის პირველ-სავე წელს შეინიშნება შინსახკომში დაპატიმრებულია რიცხვის მკვეთრად კლება. ესეც საგვსებით გასაგებია — ლაგერენტი ბერია არასოდეს წყალობდა ხალხის დასჯისა და სისხლისღვრის მოყვარულ ადამიანებს.

ეს მხოლოდ ანტონოვ-ოვსენკოს და გენერალ ვოლკოვონოვის წიგნებშია წარმოჩენილი ბერია როგორც **“მონსტრი”**, **“სისხლისმშემელი”**, **“ჯალათი”** და ა.შ.

ნათელია, რომ შინსახკომის სისტემაში დაპატიმრებულ 22.618 თანამშრომელთა შორის მილიციელებსა და ჩეკისტებთან ერთად იყვნენ მეხანძრეები, მშანის ბიუროს თანამშრომლები და სატყეო დაცვის სამსახურისა და შინსახკომის სხვა სამოქალაქო სამსახურთა თანამშრომლები.

კერძოდ, გენადი კოსტინენკო გვაუწყებს, რომ 1936 წლის 1 ოქტომბრიდან 1938 წლის 1 იანვრამდე დაპატიმრებულ იქნა 1220 ჩეკისტი. და ეს ციფრი **“მოხდენილად”** ეწერება სსრკ შინსახკომის ზოგად სტატისტიკაში და ამტკიცებს, რომ წარსულში ამ სისტემაში დასაქმებული ჩეკისტების რიცხვების ხარჯზე, 1933 წელთან შედარებით, პატიმრების რაოდენობა განუხრევლად იზრდებოდა.

ფსბ-ს შემოჯამებული ცნობის შემდგენი ავტორი შინსახკომის ვეილით მოხერხებულად **“გვტენის”** იმ სტატისტიკას, რომელშიც ლომის წილი ედო მთავარი პოლიტიკური სამმართველოს პირად შემაღგენლობას.

მთავარი პოლიტიკური სამმართველოს დაპატიმრებული თანამშრომელი, იქნება იგი რიგითი ბუღალტერი თუ აღმინისტრაციულ-სამეურნეო სამსახურის წარმომადგენელი, უბრალო მოქალაქის თვალში მაინც ჩეკისტი. და მათი თავმოყრა ერთ სიაში, კიდევ ერთხელ განამტკიცებს ობიექტელის თავში იმ აზრს, რომ ამ სისტემის ყველა დაპატიმრებული თანამშრომელი ჩეკისტი.

უნდა ვაღიაროთ — საკმაოდ მზაკერული, მაგრამ ჭკვიანური ჩანაფიქრია! მაგრამ, ტყუილი ტყუილი... ეს სიმართლის მხილება შეუძლებელი ყველგან და ყოველთვის — იმიტომაცა იგი სიმართლეთყუილის მხილება შესაძლებელია, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხერხდება იოლად.

მაგრამ, ჩვენ იგი ვამხილეთ, ძვირფასო მკითხველო. ასე არ არის?

აი, რამდენი რამის გაგება შეიძლება ციფრთა ამ ორი სვეტის ანალიზით!

ბერიაზე დანთხუელი ბოროტი ტყუილებით შეიძლება უამრავი ფალსიფიკაციის მხილება, რასაც პირველმა იგივე ივან პიხალოვმა მიაქცია ყურადღება და რომელსაც მოვიყვანე.

1995 წელს ყოველკვირეული **“დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სიახლები”** (№15-16, გვ.4) წერდა მხვერავ თვედორე კარპის ძე პარპაროვზე:

**“1938 წლის 27 მაისს პარპაროვი ბერიას უშუალო მითითებით დააპატიმრეს და მასზე გამოძიება მიმდინარეობდა 1939 წლის ივნისამდე. განთავისუფლდა იმიტომ, რომ არ დაუმტკიცდა მთავარი ბრალდება — შპიონაჟი უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ”.**

იმავ 1995 წელს საგარეო დაზვერვის სამსახური გამოსცემს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობარს **“რუსეთის საგარეო დაზვერვის ვეტერანები”** (უკვე მაშინ, ელცინის ტიპის მოღვაწეებს სიტყვა **“საბჭოთა კავშირის”** სხენება შიშსა და ძრწოლვას გვრიდა — სერგეი კრემლიოვი). ამ ცნობარში წერია:

**“ბერიას უშუალო მითითებით, 1938 წლის ზაფხულში საბჭოთა საგარეო დაზვერვის ყველა აგენტი მოსკოვში გამოიძახეს, მათ უნდობლობა გამოუცხადეს და უკან ადარავინ დაუბრუნებიათ”** (გვ.161).

გაგრძელება იქნება

# მეგრული პოეზიის რაფსოდია

## გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ღაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდიშა).

თაშ დუვართი ჩქიმ ყებურცუ,  
ჩუან ელაჩუნაფილცუ,  
ჯალეფ ჯვეში ოჯალეშით  
ყალეფ გგამუნაფილცუ,

მარგალური გვალო შხვა რე, –  
ართო ბუა დო ართო ცა რე,  
დიდაშ ფართო კართე რე დო  
მუმაშ ყვანა დო ფაცხა რე,

ანწ ართმანგო უჯინექ  
ურჩქენჯი დო გუყრაფულსგ,  
ხვარხვალე ღურუს ვონდგქ –  
ირიშ მორეთე წურაფილცუ.

ყოროფაში წყურგილე დო  
ღორთონიში აბარწა რე,  
უჩა ბორჯიშ ალნანგარა,  
გურიშ ელნაკარკაცა რე.

ლაწკარეფგ დინაფილგრე

მი ვორდი დო სო ვორდინი,  
ასე ვაბშგ – ბორჯიში გეშა,  
შიშით გინოყინტილ ნინა  
ვეკობდგუშუ ამარდეშა,

ჩქიმ მარგალურ სხუნილი რე –  
კაჭალია ლაკადური,  
ყამბარულო ნაფურცელა, –  
სოთინ ვახოლ ნახაფული,

ნოტე, გეგნობხოხუდუკო  
დლა დო სერიში ოლაგეშა,  
თინა ვარა მაჩქვენდუ,  
მუ მეშიდუნ ოგმაგეშა.

ხალე მანჯღვერც ღუგორგნცგ –  
სიტყვას შარა აკართუნი...  
ნჯღელ ზღვას ხოლო მიშარჩ-  
ქინდგ –  
წკონდა წყურგილ ქაკათუნი.

მარგალური

მარგალური ჯვეშ ნინა რე –  
ქორთულიში ჯერღვი – ჭვერხი,  
ორჩქილეტე – საღორთო,  
ვაუწყორუაფ ჭვახე რეხი,

ნინას ხოლო ნოკობუე  
ბარგუა დო მაჟირუა,  
ტყაში გვოტიტონუა,  
წყარუა დო ლაჟირუა.

მინ ზესქვიში ჩილკამური,  
მინ – პელეტი დო მერეხი,  
ქოთ პეული, ქოთ ჭუჭელი,  
გურც ეფალირ შურ-ბინეხი.

უმინჯ ყვანა, გამგონებუ,  
საედაკიაქ დაჟღირუა...  
ქემინჯი დო გაქშაბირცხე –  
უმოდე დო ნაჟირუა.

დავებურენდი ოდაბადეს,  
დავებურენდი ჩემს კერიას –  
ხეებს – ძველი ოჯალეშით  
ტოტებს ჩამოდრუბლებულებს.

მეგრული ხომ სულ სხვა არის,  
სულ მზე არის, სულ ცა არის,  
დედის ფართო კალთა არის,  
მამის ყანა-ფაცხა არის,

დღეს მოწყალედ ვუმზერ ყველას  
სწავლულსაც და უსწავლელსაც  
და ვენდობი მხოლოდ სიკვდილს  
ყველაფრის და ყველას მომრევს.

ის წყაროა სიყვარულის  
და უფლისა აივანი.  
შავი ბორჯის ცრემლია და  
გულის სიცილ-კისკისია.

შემდეგი ტექსტი დაკარგულია.

ვინ ვიყავი, სად ვიყავი  
ალარ მახსოვს ბორჯის გამო,  
შიშით ჩავარდნილი ენა  
აქამდე ვერ ამომიდგამს.

ეს მეგრული დარჩეული,  
დაკროლილი, ლაკადური,  
ყავარივით დაფურცლილი,  
უკოროდო და უნაფოტო.

ნეტავ გადავსულიყავი  
დღის და ღამის ოლაგეზე,  
იმას მაინც გავიგებდი  
თუ რა მიმაქვს საიქიოს.

წამ, წინამძღოლს მოუძებნის,  
სიტყვას გზა თუ აერია...  
მღვრიე ზღვასაც შეეტყობა –  
წმინდა წყარო – ნაკადული.

მეგრული

ენა ძველი – ძველისძველი –  
ქართულისა არის ძარღვი,  
სადვოთ არის მოსასმენად,  
მას არ ურევია ხინჯი.


ევას ზოგჯერ უნდა ხოლმე  
გამომარგელა, გამოთოხნა,  
სარდაკიას (სარეველა) მოშორება,  
მორწყვა და თან გამოსშირვა.

ხან ცრემლია შაშვისა და  
ხანაც გრგვინვა-მერეხია,  
ხან ვარდია, ხან – ჭინჭარი,  
გულის ნერვი, სულის ვაზი.

უპატრონო ყანას ხოლმე  
სარეველა მოურევა,  
ჰოდა, შენაც უპატრონე,  
მოაშორე უვარგისი.

# კოლხეთის მისტერია

მით უმეტეს, რომ ისტორიული მეცნიერებით და ღია წყაროებით ვიცით, რომ მართა და მარიამი ებრაელ-იუდეველები იყვნენ, წმინდა ნინო კაპადოკიელია და ელენე დედოფალი ბერძენი. ახალი ნინო და ახალი ელენე წარმოდგენილნი არიან ვითარცა ღაზარეს დები მარიამი და მართა. ყველა ისინი ისტორიულად სხვადასხვა ქვეყნის შვილები არიან, მაგრამ ყველა მათგანს პირდაპირი კავშირი და ღვთიური მისია აქვს დაკისრებული საქართველოსთან, ანუ ღაზარესთან მიმართებაში. თუ კარგად გავაცნობიერებთ ამ ყოველივეს და ბოლო ჟამში ღაზარეს აღდგინების პერიოდის თავისებურებებსაც გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ღაზარეს დების ნიშნით ამ ორი ქვეყნისა და ერის მხრიდან, ნიშნად მათი სახარებისეული და ღვთიური მნიშვნელობებისა. "რაღაც" უნდა დაბრუნდეს და გაცხადდეს მსოფლიო ხალხების წინაშე საქართველოს მიმართ, ამის შესახებ კი წინასწარმეტყველური წერილები მეტყველებენ. არსებობს ბოლო ჟამში აღსრულებული ორი მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველება, რომელიც სწორედ ორ ქვეყანას და მის ხალხს ეხება. ესენია:



საქართველოს გაბრწყინების ნიშნად ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატის თავის სამშობლო მიწაზე დაბრუნება. ბერძნები და ებრაელები ის პირველი ერები იქნებიან, რომელნიც "რაღაც" ნიშნით პირველები მივლენ საქართველოსთან, როგორც "ღაზარეს საფლაგთან", მაშინ, როცა მისი გაცოცხლების ჟამი დადგება.

მაშასადამე, ბერძნების მიერ კოლხეთიდან გატაცებული "ოქროს საწმისი" ის სიმბოლოური გასაღე-

ბია, რომელიც სიმბოლოებად, ლეგენდებად და მითებად უპყრია ხელთ მათ ღაზარეს "სიკვდილის" პერიოდში. ეს სიმბოლოური გასაღები კი მხოლოდ იმ ერთადერთი კოსმიური კარიბჭის გასაღებია, რომელიც საქართველოს მიწის კოსმოგონიურ შინაარსს იტევს. და სადაც არ უნდა იყოს ეს გასაღები – რელიგიებისა და კულტურების ისტორიებში სიმბოლოურ მარცვლებად გაფანტული სახით არსებობს და იგი მხოლოდ იმ ერთი კლიტის გასაღებია, რომელიც ცისა და მიწის შემავრთებელ კარიბჭეს ადევს. ამ საიდუმლოს გასაღებიც და კლიტეც და ყოველი "სიბრძნე-სიცრუის" არაკიც მხოლოდ ქართული ცნობიერებით იხსნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა ერებისა და ენების ცივილიზაციებსა და კულტურებში ყოველივე ცოდნა "კოდირებული" ინფორმაციული წყაროებით არის შემორჩენილი. მათი ჭეშმარიტი შინაარსი კი ქართული ენის გასაღებით იხსნება და იშიფრება.

ამ გაგებით ქართული ცნობიერებაა ღაზარეც, მართაც და მარიამიც, ანუ სადაურიცაა ღაზარე, იქაურები არიან მისი დებიც. ამგვარად, ნინოც და ელენეც, ვითარცა მარიამ და მართა, ქართული ცნობიერების ძირითადი წარმომავლები არიან და მათი გამაქრისტეანებელი მისიაც საქართველოსთან მიმართებაში სწორედ საქართველოს კოსმოგონიური შინაარსიდან მომდინარეობს.

ეკა ჯაფოშვილი  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

- 1) ბოლო ჟამში ებრაელი ერის დიდი ნაწილის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა, რითაც აღსრულდება თავის დროზე მათთვის მიბარებული "ღვთის სიტყვის" თავის ჭეშმარიტ სამშობლოში სიმბოლოური დაბრუნება;
- 2) საბერძნეთის ათონის მთიდან ბოლო ჟამში



# გენერალი მაზნიაშვილი ქართული ჯარის უსასხე



ბოლა ნაცანებსა და სამტრედიასში. სამტრედიასში ერთ-ერთი მკვლელობის დროს ლანჩხუთში სამწუხარო ამბავი მოხდა.

სადგურის სადგომში სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს, ჩემი დივიზიის შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი კოსტილი მხეცურად მოჰქლა არტილერიის პრაპორშნიკმა წერეთელმა.

დივიზიამ დაქარგა მამაცი და კარგი მუშაკი, რომელმაც მთელი თავისი ენერჯია და ცოდნა საქართველოს ინტერესებს შეაღწია.

საუკუნო ხსენება იყოს შენი, გულადო და პატიოსანო მეომარო!

მეკლემი წერეთელი დაატუსაღეს და გადასცეს საველე სამხედრო სასამართლოს.

რა ბედი ეწია, არ ვიცი, ხოლო შემდეგში გავიგე, რომ ციხიდან მალე გაათავისუფლეს.

მოკლულ კოსტილის მაგივრად ჩემი დივიზიის შტაბის უფროსად კორპუსის შტაბიდან გამოგზავნეს პოდპოლკოვნიკი გიორგი ალექსანდრეს ძე თუხარელი, რომელმაც დაასრულა გენერალური შტაბის მონქარებული კურსები. მეტის-მეტად ენერგიული ადამიანი, მშვენივრად მომზადებული, როგორც საზოგადოდ სამხედრო, ისე შტაბის სამსახურისათვის. შემდეგში თუხარელმა დაამტკიცა, რომ მშვენიერი ადმინისტრატორიც იყო.

იენისის შუა რიცხვებამდე ვიყავი ლანჩხუთში. ოსმალეთის ჯარების უფროსებმა შემატყობინეს, რომ მათ განზრახვა აქვთ, დასცალონ ოზურგეთი და მართლაც, დასცალეს შუა იენისში. ქალაქის ჩასაბარებლად გავემგზავრე ოზურგეთში ოსმალეთის ჯარების შტაბში, თარჯიმან გერმან გოგიტიძესთან ერთად.

ოსმალეთელი ჯარების უფროსმა და მე გადავწყვიტეთ, რომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ქალაქში შევა ჩვენი ჯარები მხოლოდ მაშინ, როდესაც ოსმალების ჯარის კოლონის ბოლო გავა ქალაქიდან.

ქალაქში რომ შევედით ჩვენი ჯარებით, ჩვენივე თვალთ დაინახეთ, როგორ დათარეშობდნენ ოსმალები ოზურგეთში.

თითქმის ყველა სახლში ჩამოხსნილი იყო კარებისა და ფანჯრების ჩარჩოები, მცხოვრებლების საოჯახო ნივთები და ქონება წინდაწინვე გაეტანათ ქალაქიდან. ელექტრონის სადგურში, რომელიც ეკუთვნოდა ჩემს თარჯიმანს გერმან გოგიტიძეს, მანქანებიდან მოხსნათ და წაედოთ ბათუმში ელექტრომტორები. ქალაქში თანდათანობით ბრუნდებოდნენ გაქცეულები.

1919 წლის 3 თებერვალს მიმოვივსე სამხედრო მინისტრის გიორგიძის კაბინეტში, იქ იყვნენ მინისტრის ამხანაგი ა. გელეგანიშვილი, სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი ვ. ჯუღელი და ამავე შტაბის წევრი ა. დგებუაძე. მინისტრმა ამიხსნა, რომ ახალციხისა და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორის გენ. მაყაშვილის საქმე კარგად ვერ არის, რომ პირველ თებერვალს სოფელ არალისთან, უდესთან და ვანანთან დაბანაკებულ ჯარებს დაეცნენ აჯანყებულნი ადგილობრივი მცხოვრებნი და ჩვენი ჯარები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ, რომ ყარსში დაარსდა მუსლიმანების ცალკე რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში უდგას ახალციხის მცხოვრები სერვერბეგ ათაბაგი, რომელიც სცილობს განდევნოს ჩვენი ადმინისტრაცია და ჯარები ახალციხისა და ახალქალაქის მხრებიდან, რომ მთავრობა უკმაყოფილოა გენერალ მაყაშვილის მოქმედებით და განზრახვა აქვს თანამდებობიდან გადააყენოს და მის ადგილზე მე დამინშნოს.

გავეცანი რა უფრო საფუძვლიანად საქმის ვითარებას, იქვე განვუცხადე სამხედრო მინისტრს, რომ ახალციხის გენერალ-გუბერნატორობას ვიკისრებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემს განკარგულებაში იქნება 5 ათასი ჯარისკაცი, და რადგან გენერალ მაყაშვილის დამარცხებული ჯარები ამ საქმეში ვეღარ ივარგებენ, ეს ჯარები უნდა წამოიყვანოს ახალციხიდან, დაასვენონ, შეავსონ ახალი ჯარისკაცებით, შესცვალონ ნაწილობრივ უფროსთა შემაგენლობა და მხოლოდ მაშინ გამოიყენონ ისინი როგორც სამხედრო ძალა.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსმა ვალ. ჯუღელმა მითხრა, რომ მის განკარგულებაში იმყოფება ამაჰმად სოფ. ხაშურში გვარდიის 15.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, რომელიც გადმოვა ჩემს განკარგულებაში, როგორც კი თანხმობას განვაცხადებ.

მე განვაცხადე ჩემი თანხმობა და იმავე დღეს დანიშნულ ვიქენი ახალციხისა და ახალქალაქის მხრების გენერალ-გუბერნატორად და იქ დაბანაკებული ჯარების უფროსად.

4 აპრილს გავემგზავრე მე-2 დივიზიის ნაწილით და იმავე დივიზიის ცხენოსანი ესკადრონით.

იმავე დღეს საღამოზე მივედი ახალციხეში.

გენერალი მაყაშვილი იყო ძველი, გამოცდილი სარდალი, რომელსაც დასავლეთის ფრონტზე უწოდეს მეტსახელად „თხრილების გენერალი“.

გენერალ მაყაშვილის აზრით, აჯანყება ვრცელდება მხრებში არა იმიტომ, რომ სერვერბეგი და მისი დამქაშნი ოსმალეთის ემისრები არიან და ახორციელებენ ოსმალეთის პოლიტიკას, არამედ იმიტომ, რომ მთავრობის დაბალმა ადმინისტრაციულმა აპარატმა, ჯერ ერთი, თავისი მოუშაბდებლობით და, მეორე, თავისი ტლანტი და მოურიადებელი ქცევით და ადგილობრივი ადათებისა და ჩვეულებების შელახვით ისე გააბოროტა მთელი მცხოვრებნი, რომ ისინი მზად არიან, მიეკედლონ ყველას, ვინც კი დაიფარავს მათ ამ „მხეცებისაგან“, როგორც უწოდებდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი მთავრობის კომისრებს, და რომ სერვერბეგი ამით სარგებლობს თავისი მიზნების განსახორციელებლად.

ჯარის ნაწილების მდგომარეობა დამიხატა უფრო ცუდი ვერადებო: მის განკარგულებაში ნამდვილად იყო მხოლოდ ორი ლეგიონი, ერთი ახალციხის რაიონში და ბანაკებული პოლკოვნიკ გელეგანის უფროსობით და ერთიც, ახალქალაქის რაიონში პოლკ. ყანჩაგელის უფროსობით. დანარჩენი სამხედრო ნაწილები სხვადასხვა სახელწოდებით, მაგ. „განსაკუთრებული რაზმი ჟორდანიასი“, „კერესელიძის“, „ფხაკაძის“ და სხვა. არაფერს წარმოადგენდნენ, ყველა ეს რაზმივე ქალაქზე ირიცხებოდნენ ასობით, იღებდნენ სურათს, ტანსაცმელს და საჭმელს არა ჯარისკაცების არსებული რიცხვის მიხედვით, არამედ თანახმად შედგენილი სიებისა. საგულისხმოდ ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაყაშვილი და სხვა უფროსები მოითხოვდნენ მთავრობისაგან, თავიდან მოეშორებინა მათთვის ამგვარი ჯარის ნაწილები, მათ ხელი არეინ არ ახლო, მხოლოდ შემდეგში დაუინებებით მოთხოვნის შემდეგ ეს რაზმები დაშალეს სამუდამოდ.

5 თებერვალს, საღამოზე, გენ. მაყაშვილი გამოემგზავრა ტფილისისაკენ.

აჯანყებულთა ზრახვების შესახებ ცნობები ძალიან ცოტა მქონდა.

ცხადი იყო მხოლოდ, რომ მათ მსურდათ თავისი მოქმედების წრე გაეფართოვებინათ აჭყურის მიმართულებით, ამისათვის ისინი მიიწვედნენ და იკავებდნენ სოფლებს, რომლებიც მდებარეობდა ახალციხიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მთის ქედებზე, აბასთუმნიდან დაწვებული აჭყურამდე.

5 თებერვალს ახალციხეში მყოფ ჯარის ნაწილებს ვუბრძანე, დაეკავებინათ სოფელი ნიორწმინდა-ჩიხვი და ამგვარად შეეჩერებინათ მტრის წინსვლა.

გელოვანის მე-4 ლეგიონს ვუბრძანე დარჩენილიყო სოფელ არაღში, უდესში და ვალეში.

მოთუშენლად ველოდი ჯერ კიდევ ტფილისში მთავრობის მიერ დაპირებულ 5.000 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმის მოსვლას, იმ ანგარიშით, რომ ეს რაზმი იმ დამეს მოვიდა, მარჯვენა ფრთას ვუბრძანე წაეწია წინ და დაეჭირა სოფელი ჩიხვი და ჩურჩუტო. საღამოზე მივიღე ცნობა, რომ ჩემი ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი. მაგრამ იმავე საღამოს გამოირკვა, რომ მარჯვენა ფრთას სოფელ ჩურჩუტოს მაგივრათ შეცდომით დაეჭირა ერთი პატარა სოფელი ხეობაში.

6 თებერვალს, დილით, დაპირებული რაზმი ჯერ კიდევ არა სჩანდა. ფრონტის გასასწორებლად სანაპიროების ათასეულს ვუბრძანე, წასულიყო 1-ლი ბატარეით

აბასთუმნის გზატკეცილით და როგორმე დაეკავებინა სოფელი ვარხანი.

ამ სოფლის დაკავებით მტერს წინ წაწევის საშუალება ესპობოდა და ამასთან ერთად, პრობლემის რაიონის ფრონტი ერთი სამად მოკლდებოდა.

რადგანაც სათადარიგო ჯარები არ მყავდა, ფრონტის შემოკლებითა და მისი გამაგრებით ვფიქრობდი, მომეყო დრო, სანამ მტერი მოგვადგებოდა.

7 თებერვალს მივიღე დეპეშა მე-2 დივიზიიდან, რომლის უფროსად მე ვირიცხებოდი.

მწერდა 1-ლ ლეგიონის უფროსი, რომ ჩემს განკარგულებაში გამოიგზავნა ერთი ათასეული, ხოლო დანარჩენებს გამოგზავნიან, როდესაც მოამზადებენ.

ამავე დღეს სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ა. გელეგანიშვილმა დამიძახა პირდაპირი მავთულით მოსლაპარაკებლად, ეს ლაპარაკი შემდეგი შინაარსისაა:

გენ. გელეგანიშვილი – გენერალი გელეგანიშვილი გელაპარაკებით დამხედრო მინისტრის სახელით. საქმე შემდეგია: სოხუმიდან მივიღეთ დეპეშა, რომ სოჭის მიმართულებით ჩვენი საქმე ცუდათაა. დენიკინის ჯარები თავს დაესხა სოჭში ჩვენს წარნიზონს. იარაღი აჰყარა და ტყვედ წაიყვანა იგი, გენერალ კონიაშვილთან ერთად, შემდეგ წინ წამოიწიეს, გაგრა დაიკავეს და სოხუმის აღებას აპირებენ, თქვენ რომ ჯარებს დაგპირდით, ამაჰმად ეს ჯარები იმყოფებიან ხაშურში. ჩვენ არა გვეყავს სათადარიგო ჯარის ნაწილები სოხუმში გასაგზავნად. სამხედრო მინისტრს სურს, გაიგოს თქვენი აზრი ხაშურში მყოფი ჯარის ნაწილების გაგზავნის შესახებ.

გენ. მაზნიაშვილი – მოახსენეთ სამხედრო მინისტრს შემდეგი: დენიკინის ჯარებმა სოხუმი თუ დაიჭირეს, სამუდამოდ დაეკარგათ აფხაზეთს, ხოლო თუ ჩვენ ვერ გაუძლებთ მტერს, უკან დახვევა მოგვიხდა და ახალციხე დროებით მივატოვოთ, რამდენიმე დღის შემდეგ მე-2 დივიზიის ნაწილების მოსვლის შემდეგ, ახალციხის არმიც თუ დაეიბრუნებენ, სერვერბეგ ათაბეგს და მის ურდოებს ახალციხისა და ახალქალაქის მხრებიდან სრულიად გავდევნით.

გენ. გელეგანიშვილი – მაშ, შეიძლება ჯარები სოხუმში გაგზავნოთ?

გენ. მაზნიაშვილი – დიახ, შეიძლება, იმ პირობით კი, რომ არ დაივიწყოთ და სანქაროთ გამოგზავნეთ მე-2 დივიზიის ნაწილები, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ახალციხის დროებით მიტოვება მოგვიხდეს.

გენ. გელეგანიშვილი – (რამდენიმე წუთის შემდეგ) სამხედრო მინისტრმა მოიწონა თქვენი აზრი, ხაშურიდან სოხუმში ჯარები დღესვე გაიგზავნება. ამასთან, ვეცდებით, ძალიან მოკლე ხანში მოვაშველოთ თქვენი დივიზია მთლად.

ამით გათავდა დაპარაკი. 7 და 8 თებერვალი გავიდა მზადებაში მომავალი ოპერაციებისათვის.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ დამხმარე ჯარების მოსვლამდე ვერ შეეძლებოდა მხრებში დილით-დღე გახრდილი აჯანყების შეჩერებას.

ჩემი ცდა ის იყო მხოლოდ, რომ მომეყო დრო, ამ მიზნით გაემართე მოლაპარაკება ადგილობრივ მცხოვრებლებთან და, აგრეთვე, ინგლისის წარმომადგენლებთან, რომლებიც მოვიგებინე ახალციხეში 6 თებერვალს ერთი ასეული.

საღამოზე პოლკოვნიკმა გელოვანმა მთხოვა ნებართვა, მოსულიყო შტაბში საქმის მოსახსენებლად და ზოგიერთი საკითხის გამომარკვევად.

გელოვანთან ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ აჯანყებულები შეგუფდნენ ოსმალეთის ტერიტორიაზე სოფელ ბადელას მიდამოებში და ცდილობენ თავისი გავლენა გაავრცელონ ფოცხვრის რაიონზე. ამასთან გამოირკვა, რომ ამ რაიონში, თავის სოფელში გამაგრებულია და აჯანყებულთა წინააღმდეგობას უწევს ადგილობრივი მცხოვრები ბახშიბეგ მანაბელი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ფოცხვრის რაიონის მცხოვრებლებზე და ჩვენთვის კეთილადაა განწყობილი.

მასალები მოიძია თემურ ქორიძემ, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# აღიარება აუსილუბლად მოვა...

წარმოვიდგინო ქართველი მამულიშვილისა და თავისი კუთხის ღირსეული შვილის ბატონ მურთაზ ჯანჯღაგას წიგნს "მეგრული ენის ფენომენი". წიგნის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა, აფხაზეთის მეცნიერებათა და ფაზისის აკადემიების აკადემიკოსი, გიორგი ლეონიძის პრემიის ლაურეატი ჯემალ ჯინჯიხაძე. ავტორი დიდ მადლს უძღვრის წიგნის გამომცემში გაწეული გარკვეული ფინანსური დახმარებისათვის საქართველოს პარლამენტის წევრს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას.

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ამონარიდებს აღნიშნული წიგნიდან.

## ციური მნათობები კოლხთა რწმენაში

აიეტის დროინდელი კოლხური მეტყველების შემკვიდრება მეგრულ-ლაზური მეტყველებაა. კოლხური ენა უძველესი დროიდან წარმოადგენდა კოლხეთის სახელმწიფო ენას. პეროდოტე წერდა: "კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონიათ". დიდ ქართველ მეცნიერებს მისაკოწერეთელს, აკაკი ურუშაძეს, რისმაგ გორდუხიანს, თინათინ ყაუხჩიშვილს და ბევრ სხვას თუ ვერწმუნებით კოლხურ-პელაზგურად მეტყველებდნენ ზევისი, პროეთე, ჰერა, დიონისე, ჰეკატე და ა.შ.

"ოქროს საწმისი" შესახებ თქმულება თავდაპირველი სახით შეუქმნიათ არა ბერძნებს, არამედ ბერძენებამდე ტომებს პელაზგებს (კოლხთა მოდგმას) ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე-მეთორმეტე საუკუნეებში. შემდეგ პელაზგთა თქმულება გადასულა ელინელთა ზეპირსიტყვიერებაში, იქიდან ბერძულ ანტიკურ (მითოლოგიაში) მწერლობაში. აპოლონ დროსელის ზეპირსიტყვიერებაზე და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ლექსად შეუქმნია მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოები "თქმულება არგონავტებზე".

მეცნიერებაში დადგენილია, რომ ენობრივი ოჯახები უკვე ნეოლითის ხანაში იყო ჩამოყალიბებული. მეგრული ენის ლექსიკა მეტყველებს იმაზე, რომ ის წარდგენამდელი ენაა. უძველესი ხალხის სვანების მეხსიერებაში დღემდე ფიქსირდება, რომ წარდგენის დროს ბევრი მეგრული დამხრჩვალა. მეგრული ენა გამორჩეულად არის საოცარი ფენომენი. ამ ენის განვითარებას უდიდესი ღვაწლი დასდეს სწავლულმა კოლხმა ქურუმებმა. მათი სახელები ჩვენ არ შემოგვრჩა. საერთოდ ძველი ცივილიზაციებში ქურუმები იყვნენ ის პიროვნებები, რომლებმაც ცივილიზაციის განვითარების ადრინდელ საფეხურზე ადამიანთა სულიერ-კულტურული, მორალურ-ზნეობრივი მოთხოვნილებების შესაბამისად შემოიღეს სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვა რწმენები. მათ შექმნეს სხვადასხვა ფუნქციონალური მატარებელი ღმერთები, რომლებსაც სახელები თვითონ დაარქვეს, ისინი საზოგადოებაში

ამკვიდრდნენ ზნეობრივ ღირებულებებს. სანამ ადამიანები ღმერთებს შექმნიდნენ, ხალხებში იყო მზის და ციური მნათობებისადმი თავყანისცემა. მზის კულტის თავყანისცემის სარწმუნოებას საბიზმა ეწოდება. უძველეს პერიოდში ძველ აღმოსავლეთში ჩნდება ობსერვატორიები და ქურუმ-მისნები ციურ სხეულებზე აწარმოებდნენ დაკვირვებებს, მათ მიიღეს ასტრონომიული და ასტროლოგიური ცოდნა, ისინი დაეუფლნენ ფილოსოფიას, ლოლიკას, მათემატიკას, გეომეტრიას, მუსიკას და ა.შ. ცივილიზაციები და მზის საგალობლები მათი შექმნილი იყო.

ძველი ცივილიზაციების შემერის, ეგვიპტის და ბაბილონის ეპოქაში კოლხი ქურუმები ქმნიდნენ ამ ცივილიზაციის გვერდში კოლხურ ცივილიზაციას. კოლხური და ეგვიპტური სიტყვების მსგავსება ჩვენ ბევრ რამეზე გვაფიქრებინებს. ჩვენ ყურადღებას მეგრულ ლექსიკაში უამრავი მომენტი იპყრობს. საბიზმას ამსახველი ზეპირსიტყვიერებით ჩვენამდე მოღწეული ცალკეული სიტყვებიდან თუ ლექსებიდან ავიღოთ კვირის დღეთა სახელები: **თუთაშა, თახაშა, ჯუშაშა, ცააშა, ობიშა, საბატური და ჯაშა**. ჯ. კაკულიას წიგნში "საქართველოს ისტორიის ასალი ალქმისათვის", ავტორი აღნიშნავს, რომ თუთაშა მთვარის შობას, ჯაშა მზის შობას და ა.შ. ნიშნავს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვინაიდან ძველ მეგრულში შა არის დღე, თუთაშა მთვარის დღეა, ჯაშა მზის დღეა. მაკალათიას წიგნში "სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია" აღნიშნული აქვს დღეთა სახელების შესახებ: **თახა** ადგილის დღეა, მიწის დღეთაა, ხოლო **ჯუშა** მწვემსთა მფარველი დღეთაა. სინათლის დღეთაა მეგრულში არის **ცეში**, რომლის სახელწოდებაც ატარებს უძველესი სოფელი, ჯერ კიდევ ტაციტუსის მიერ მეორე საუკუნეში მოხსენიებული ცაიში. ნამდვილი სახელწოდება ამ სოფლისა არის ცეში, დღის სახელწოდება ცაშა უკავშირდება ბიბლიურ სამყაროს განენის ვერსიას, როდესაც ღმერთმა წველიადი სინათლით გაანათა. ჩვენ ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ მზე და მთვარის გარდა დღეთა კოლხური სახელები მერკურს, ვენერას, მარსს, იუპიტერს და სატურს უკავშირდებოდეს. კვირის დღეთა სახელები კოლხ ქურუმთა მიერ არის შექმნილი. ამ დღეთა სახელები მინიმუმ შვიდიათასი წლის წინ მაინც არის შექმნილი.

მეგრულში გვაქვს შეიდი თაობის მოდგმის აღმნიშვნელი სახელები. ესენია: **იმპუ, შამა, ჯამა, პაპუ, ბაბუ, მუმა, სქუა**. ეს ციფრები უკავშირდება შეიდი მნათობის მზის, მთვარის, მერკურის, ვენერას, მარსის, იუპიტერის და სატურის კრებულ ჯამს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ სწორედ მნათობთა შეიდეული ქურუმთა ასტრონომიული დაკვირვების შედეგად დადგინდა და ამ ციფრს საკრალური მნიშვნელობა მიეცა. ასურულად **ბაალ** ნიშნავს როგორც ხელმწიფეს, ასევე მზეს. მზის კულტისადმი თავყანისცემის მომენტები, უძველესი დროიდან საგზელად გამოყოფილია მეგრულ ენას.

პიქტოგრაფიული, იეროგრაფიული და ანბანური დამწერლობები კოლხმა ქურუმ მისნებმა შექმნეს. მათი ანბანი მაგიურია. აქვე ვიტყვით, რომ მეგრულად ანბანამდელ დამწერლობას **ალური** ეწოდება. ჩვენ ქვემოთ როდესაც შევეხებით გარკვეული კატეგორიის მეგრული სიტყვების სტრუქტურულ აგებულებას, ვნახავთ, რომ მათ კოლხ ქურუმ-მისნთა უმაღლესი მაგიური ცოდნა დევს.

საინტერესოა ვიცოდეთ სიტყვა კოლხეთის ეტიმოლოგიური წარმომავლობა, რის შესახებაც მოგახსენებთ, რომ კოლხიდა ბერძნულად ნიშნავს ძნელად სავალ მხარეს, ვლადიმერ ალფენიძეს "**სფინქსის დიმილიში**" აღნიშნული აქვს, რომ **კოლხი** სიტყვა მომდინარეობს კოლხთა მფარველი დღეთა სახელის **ყოლოხისაგან**. ჯ. კაკულია ზემოთხსენებულ თავის წიგნში აღნიშნავს, რომ ჩვენურად **კლხ** ჭაობს ნიშნავს და შესაძლოა ეს სახელწოდებაც იქიდან მოდიოდეს.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით აიკტი და მისი სახელეული პელიოსის და ანტიოპეს შვილები იყვნენ. კოლხები მიხედვით არიან მზის შვილებად. მიგვაჩნია, რომ კოლხების მზის შვილებად ჩათვლა მითოლოგიაში იმით უნდა აიხსნას, რომ კოლხები მზის გამორჩეული თავყანისცემლები იყვნენ. კოლხთა მზისა და სხვა მნათობთა მიმართ თავყანისცემის ფაქტობრივი გამოხატულება მეგრულ ლექსებშია მოცემული, რომელთა ავტორები არავინ იცის.

**"მზე დედა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, მოცინარი ვარსკვლავები და და ძმია ჩემი".**

ძველ დროს ერთგვარად მთვარე დომინირებდა, მაგრამ შემდეგ მზე გახდა უპირველესი თავყანისცემი კულტი. ძველ დროსაველეთში მზე პირველ დღეთაგან მიიწოდება, რაც მხატვრობაშიც არის ასახული ძველ ეგვიპტეში. დღეთაგან **ხორის** ორულს შევარდნის მარჯვენა თვალი მზისა აქვს, ხოლო მარცხენა თვალი მთვარის, უძველესი დროიდან უნდა მოხდებოდეს მეგრულ ზეპირსიტყვიერებას ლექსი:

**"სი რქე ჩიმ ბედიშ მურიცხი, თოლეფვირა ცირა თუნთა, სქან მარძგანი თოლი ბუა რე, სქან კვარჩხანი თოლი თუთა".**

ამ ლექსში შეყვარებული მიმართავს ქალიშვილს თუნთას და ეუბნება, შენ ხარ ჩემი ბედის ვარსკვლავი, შენი მარჯვენა თვალი მზეა, შენი მარცხენა თვალი მთვარეა. აქ მზისა და მთვარის მიმართებასთან საქმე გვაქვს ეგვიპტურ და კოლხურ პარადიგმებთან. ქრისტეძველ რელიგიურ-ფილოსოფიურ წინასწარმეტყველებას დიდი სიზუსტით ასახავს მეგრული ლექსი "**მეგრული ნანა**":

**"ჩქინიური თოლიხინა ცას მიკოხე სვარხვატელი, ირფელ უჩქუ, მუთ თუდორე**

**ღიხაშ გიმე კვარკვატელი. ღიხაშ თულო ქიანა რე, გვერი კუდელს უწაწუნს გიმე წყარს დო ეშე ხეთოს დლა დო სერთ უტაცუნას. იშ მულაშას მუთას თქუნას; მარა არძას მოკითხუნს; მით მუდგენემს უთათხუნს! კილერ კარსი კილა გონწყუნს, ირკოს ინა ვა განჯინე, გომანჯამალ კირილირე, მერეხიშ მულას უჯინე. უკულ მუთ იყაფური უფალიშ კათა უჯინე!"**

ეს ლექსი ეხოთურული ცოდნის შემცველია, აქ გადმოცემული იდეოლოგია ძალზე შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. მოკლედ ვიტყვით, რომ ლექსში ლაპარაკია ამ ცოდვილ ქვეყანაზე წარდგენის შემდგომ მესიის მოსვლაზე, რომელიც ჯერჯერობით დაბმულია ამ ქვეყნის გასაღები მის ხელშია, ელოდება წარდგენას, რის შემდეგაც მოველინება ქვეყანას უფლის მოყვარე ხალხი ამას ყველაფერს იხილავს.

მეგრულ ხალხში, აქა-იქ, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში შემორჩენილი იყო წინაპრების მიერ ციურ მნათობთა ვარსკვლავთა მიმართ მოფერებითი თუ ვარსკვლავთმრიცხველი ქურუმთა ცოდნიდან გამომდინარე ადამიანთა ტიპების სახეების მისადაგებული მოპორტრეტებული სიტყვები მე ბავშობაში მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოიჩინა მცოვანი ლედეგეილი (სოფელია ზუგდიდის რაიონში) მწვემსებისაგან. ისინი იხსენებდნენ თავიანთ ბავშვობაში თუ როგორ ჩამოვიდნენ ხოლმე მოხუცები სადამოლობით კერიასთან ვარსკვლავთა სახელებს. ჩვენ მოვიყვანთ ამ სახელებს: კვაბა (კვაბა), კვაზა (კვაზა), კვაწა (კვაწა), რჩხამა (რჩხამა), რცხამა (რცხამა), რწკამა (რწკამა), რჯღამა (რჯღამა), წკვაზა (წკვაზა), წკვაპა (წკვაპა), წკვამა (წკვამა) და ასე შემდეგ. ეს სიტყვები გამოხატავენ ადამიანთა ტიპების სახეების გამომეტყველებას ება-სახის მოყვანილობის, ტუჩ-ცხვირ-ნიკაპის, თვალის გამოხედვის და სხვა მრავალი ნიშნის მიხედვით.

კვაზა – კობტა და მოხდენილია, კვაპა – პატარა და ლამაზი, კვაწა – პატარა, რომელიც ძლივს მოჩანს, რცხამა – მომწუსხველთვალეობიანია, წკვაზა – უკარგაა, წკვაპა – მეღიის სახისა, წკვამა – ტურის გამოხედვისაა. ეს ეპითეტები მიეწერება როგორც ადამიანებს, ისე ვარსკვლავებს. შეიძლება ითქვას, რომ მეგრული ზმნებით ვარსკვლავთა სახეები მეტყველებდა. არ არის გამორიცხვლი, რომ ძველი ადამიანები თავს ვარსკვლავთა ხატებად კი თვლიდნენ, ან პირიქით, სულაც შესაძლებელია ადამიანთა და ვარსკვლავთა სახეები, უბრალოდ, სიმბოლურადაც იყოს გაიგივებული.

**მურთაზ ჯანჯღაგა (გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## ბაკრაიი სოხუას

გაგრძელება 6-გედან

დაში უცვლიან გამგულ-გამომგულელებს. ომით განდევნილი ჭუბერი-საკენის უღელტეხილზე ვეწამეთ, იქ საფლავებად დაგვტოვეთ ჩვენი დედები და მამები, გაყინული ჩივილები. შემდეგ კი ზოგი საქართველოში, ზოგიც უცხო ქვეყნებში ბორცვებად მიმოიფანტნენ...

"ჩქიმ ქიანა" ("ჩემი ქვეყანა" – მეგრულად) – იტყვოდა ხოლმე დედაჩემი მონატრების ეამს. ახლა მეც ენგურგადმა საქართველოს ჩემი სულის ნაწილს, "ჩქიმ ქიანას" დავარქმევ.

გუდაუთიდან ჩამოტანილი ზღვის ნიჟარა მანუქა ამას წინათ მეგობარმა, მლაშე სურნელი მოჰყვებოდა... და კიდევ ჩემი წარსული, შენთან განშორებისა რომ გაიყო

ორ ნაწილად. ომზე მიმე დღეებიც ავითვალე, მაგრამ არ დამეწეებოდა. სულ შენზე ფიქრობ და შენ გარშემო ვრტილავ. კალამიც იმისთვის მიჭირავს ხელში, რომ შენგან შორს მეოფამაც არავფერი დაგაკლო. სანამ ცოცხალი ვარ, შენზე და უშენობით ატიკეებულ ადამიანებზე დაეწერ. ეს იქნება ჩემთვის შვებაც და სიცოცხლის საზრისიც.

ამას წინათ ჩემმა დევილმა მეზობელმა მიხსრა სინანულით: ღმერთმა ისე ნუ მომკლას, რომ ენგურგადმა დაბადებულმა ჩემმა შვილისშვილმა სოხუაში ჩემს ეხოში ვერ გაიაროსო. ღმერთო, აუხდინე ყველა დევნილ ბებიას ეს სახალწლო სურვილი! მანამდე კი პატარებმა ხატონ ფერადი ფანქრებითა და ფლომასტერებით მზე, ზღვა და იალქიანი ხომალდები. აფხ-

აზეთის ქართველობის ნაწილი ამ ახალ წელს სამურზაყანოს მიწაზე თავის ჭერქვეშ შესხვდა გაორებული სულითა და სევდანარევი სიხარულით. შინ დაბრუნებულნი ისევ დაბრუნებაზე ოცნებობენ და ამ ფიქრით გამოღმა მყოფებს უერთდებიან.

ახალი წელი მოვიდა... ისევ უაფხაზეთოდ!

მადლა აწეული ყელყელა ჭიქა დამიმბდა, სამკვიდრომდე შორს დარჩენილი

მანძილი მეჩვიდმეტეჯერ გაითვალხოვმეს იქაურმა ქართველებმა. მათი სურვილი ახალ წელსაც უცვლელია. P.S. ზომ გითხარი, ვერაფრით გაგასარებმეთქი, ჩემო მონატრებულო ქალაქო. გიფრთხილ და ცრემლი მდის და განა მარტო მე? ენგურგადმა სამასი ათასი ერთნაირი ფერის ცრემლი, დარდი და საწუხარია. დმერთო გაამთლიანე საქართველო! სვეტლანა კვიცინიანი, ჟურნალისტი









# სელისუფლებამ ანაკლიელებს სახნავ-სათესი მიწები არა თუ დაუპანონა, დაკანონებულად წაართვა

კერძო საკუთრების ხელყოფა, რომელიც საქართველოში „ვარდების რევოლუციიდან“ დაიწყო და შემდეგ რამდენიმე ხნით მიხედვდა, ისევ განახლდა. ზუგდიდის რაიონის ზღვისპირა სოფელ ანაკლიის მცხოვრებლებს ხელისუფლებამ ჯერ სახნავ-სათესი ფართობები წაართვა, რომლითაც ისინი 30-40 წელი სარგებლობდნენ; მერე ესეც არ აკმარა და საკარმიდამო მიწებზე გადავიდა.

ანაკლიელთა აწიოკება მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ანაკლიის ინფრასტრუქტურის შეცვლა და იქ საკუთრებულ მიწების დაწესება გადაწყვიტა. მიწების უკანონოდ გაყიდვისა და კერძო საკუთრებაში არასწორად გაფორმება-გატარების მოტივით დააკავეს ანაკლიის ყოფილი გამგებელი თემურ ეფენია, რომელიც დაკავების პერიოდში ზუგდიდის სამხედრო კომისრად მუშაობდა. თანამდებობიდან გათავისუფლდნენ საჯარო რეესტრის ხელმძღვანელები.

ანაკლიელებმა რატომღაც დახმარებისთვის საქართველოს „რესპუბლიკურ პარტიას“ მიმართეს. პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ანაკლიელებს ზუგდიდში შეხვდნენ და მათი გასაჭირო მოისმინეს. „ანაკლიელთა უპრავდებოება საშინელი დღეა ჩვენი. ხელისუფლება საკუთრებაში არსებულ მიწებს გვართმევს, გვეუბნებიან თქვენი იყო, ახლა ჩვენიაო. სანაპიროდან ნახევარი კმ-ის დაშორებით 1700 კვმ მიწის ნაკვეთი გამაჩნდა, რომელიც, 20 წელია, ჩემი საკუთრებაა. საკუთრების დამადასტურებელი ყველანაირი საბუთი მაქვს. 2008 წლის მარტში საჯარო რეესტრში გავაიტარე. სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ეს მიწა ჩემთვის ჩამოვთმევიდათ, როდესაც მივაკითხე საჯარო რეესტრს და ამონაწერი მოვიტოვე, მითხრეს მიწა არასწორად იყო გატარებული და ამიტომაც ჩამოვთმევიდათ.“ – აღნიშნა ანაკლიის მკვიდრმა ქალბატონმა ეკა გვილიამ.

ანაკლიელთა დღეშია მრავალი ანაკლიელი. ისინი ანაკლიის აღმშენებლების წინააღმდეგ არ არიან, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მათი კუთვნილი ქონების ხელყოფის ხარჯზე. „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა დახმარება და თანადგომა აღუთქვა ანაკლიელებს. „წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე ხელისუფლებამ ისევ დაიწყო მოსახლეობის დაწიოკება – ჯერ საგარეულობის წართვეთს, ახლა საკარმიდამო მიწებს მიადგენ. არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი, რომ ანაკლია კეთილმოეწყოს, მაგრამ არა – ძალადობრივი გზით, არამედ – კანონიერი მეთოდებით. ყოველნაირად შევეცდებით, დავიცვათ ანაკლიელთა უფლებები.“ – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ხელისუფლება წართმეული მიწების სანაცვლოდ არაფერს არ სთავაზობს მოსახლეობას – არც ფულად კომპენსაციას და არც მიწების გადაცვლას. „მიწები გვართმევენ, მაგრამ არ გვართმევენ!“ – ცინიკურად აღიზიანებენ მოსახლეობას. ასე რომ, ხელისუფლებამ ანაკლიელებს, რომლებიც ადრე მათთვის საგარეულობისა და სახნავ-სათესი მიწების (რომლითაც ისინი წლებით სარგებლობდნენ) დაკანონებას ითხოვდნენ, ის მიწებიც წაართვა, რომლებიც დაკანონებული ჰქონდათ. ასეთია რეალობა იმ ქვეყნისა, რომელსაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს აქვს მიწები.

### „უმაღლესი ჯილდო დიდ მოვალეობას მაპისრებს“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შარშან ზუგდიდში ყოფნისას საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმიდა გიორგის ოქროს ორდენი საქართვე-



ლოს ექს-პრემიერ-მინისტრ, ამჟამად საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე ბატონ ოთარ ფაცაციას გადასცა.

80 წლის ამაგდარი ადამიანი ამჟამად საზოგადოება „ზუგდიდელს“ ხელმძღვანელობს. ის ამ საზოგადოებას, ზუგდიდელთა დაქინებული თხოვნით, ორი წელია, რაც სათავეში უდგას, მაგრამ ბევრი სასიკეთო რამის გაკეთება მოასწრო. „ბევრ აქტუალურ საკითხთან ერთად საზოგადოება, მიუხედავად მწირი ფინანსური რესურსებისა, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საქველმოქმედო საქმიანობას, უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, საზოგადოების მუშა ჯგუფის მიერ ხდება სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების მდგომარეობის შესწავლა და წინადადებების მომზადება, მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, ასევე შემუშავებულია ნიჭიერი მოსწავლეების, სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის მხარდაჭერი ღონისძიებები.“ – აღნიშნა ბატონმა ოთარ ფაცაციამ.

„ზუგდიდელის“ მიერ ასეთი წესით მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა წარჩინებული და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ზუგდიდელის, თბილისის კორსერვატორიის მე-2 კურსის სტუდენტის მიხეილ ქირიას იტალიაში სტაჟირების მიზნით გაგზავნისათვის თანხის მოძიება. გასულ წელს ოთხ ზუგდიდელ სტუდენტს დაენიშნა ყოველთვიური სტიპენდია 100 ლარის ოდენობით. უადრესად შეტირებული ოთხ მოქალაქეს გაეწია მატერიალური და ფულადი დახმარება. აგვისტოს ომის დროს დაზარალებულებს გაეწიათ დახმარება; „ზუგდიდელის“ ჩარევით კორცხელის დედათა მონასტრის მისასვლელ გზაზე დაიგო ასფალტი; ზუგდიდის სასულიერო გიმნაზიას გადაეცა ხატი და ფასიანი საჩუქარი. ასეთია ის არასრული ჩამონათვალი, რომლის გაკეთებაც მოასწრო საზოგადოება „ზუგდიდელმა“. ანაკლიელთა საქმიანობა მომავალშიც გაგრძელდება.

### საბადასახადო კოდექსის ახალ ცვლილებას მიწარმე ბაპოტრებად მიჰყავს

საქართველოს ხელისუფლებამ ქართველ მეწარმეებს – გადასახადის გადამხდელებს პირველი თებერვლიდან მორიგი „სიურპრიზი“ შესთავაზა, რომელიც საწარმოების დაკეტვას ან მათ გაკოტრებას მოასწავებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე და 143-ე მუხლებში შევიდა ცვლილებები. კერძოდ:

საგადასახადო პასუხისმგებლობა დაწესდა სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისთვის. საგადასახადო სამართალდარღვევად ჩაითვლება მკიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შექმნისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა. თუ საქონლის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს, მეწარმეები ჯარიმდებიან, მაგრამ მითითებული არ არის ჯარიმის ოდენობა. თუმცა პირველი შემთხვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში ქმედების ხელმორედ ჩადენისას მეწარმეები 5000 ლარით დაჯარიმდებიან, შემდგომი გამოვლენისას 10000 ლარით და ა.შ. ხოლო თუ საქონლის საბაზრო ღირებულება აღემატება 10000 ლარს, ზედნადების არ ქონის შემთხვევაში მეწარმის მიმართ ვრცელდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ასეთია მეწარმის დასჯის ახალი მეთოდები. ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, ეს შესრულებადი მოთხოვნებია, მეწარმეები კი ასე არ ფიქრობენ. ამიტომაც ზუგდიდელმა მეწარმეებმა გამართეს გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია. ისინი სოლიდარობას უცხადებენ დედაქალაქელ მეწარმეებს, რათა ერთობლივი ძალიანვე უარი ათქმევიონ ხელისუფლებას მის მიერ შემუშავებულ ახალ ცვლილებებზე.

### მაიორის ბასაჰირო

ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის მკვიდრ მაიორ ქებურიას არც წინა ხელისუფლება სწყალობდა და არც ამჟამინდელი. შვიდი წელია, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან დახმარებას ითხოვს, ამავრამ ამაოდ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დღემდე ილატა და განსახლების სამინისტროში გადაამისამართა, მიწების განკარგვის უფლებების მოტივით. სამინისტროში კი მას განუცხადეს, რომ ზუგდიდის რაიონში მიწების არ არსებობის გამო შეუძლიათ ოდიშელ კაცს მიწის ფართობი მისცენ ახმეტის ან ლაგოდეხის რაიონებში.

ამდენ ხვეწნა-მუდარასა და სიარულში, რაც თანხა გააჩნდა, ისიც შემოეხარჯა მაიორ ქებურიას და ახლა მისი იმედი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია. არადა, ქებურიას ექვსწლიანი (აქედან ოთხი ინვალიდია) ოჯახი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, ამიტომაც მან წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

„ბატონო პრეზიდენტო, მერამდენედ მიხდება თქვენი შეწუხება და თქვენთან განცხადების გამოგზავნა, ვინაიდან ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები არანაირ ყურადღებას არ

მაქცევენ, სწორედ ამის გამო დღემდე ვერცხე გამოუვალ მდგომარეობაში ვარ 71 წლის, შრომის ვეტერანი. ვცხოვრობ სოფელ ოდიშში იმ ადგილას, სადაც ნიადაგი გადაადგილდება. ამის გამო საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები ისე დაზიანდა, რომ იქ ცხოვრება სასიფათოდ და შეუძლებელიც გახდა. არსებობს სპეციალისტების დასკვნა, რომ ამ სახლის აღდგენა და შეკეთება შეუძლებელია. საჭირო გახდა ახალი საცხოვრებელი ადგილის შეჩვენა და ახალი შენობის აშენება. აქედან დაიწყო ჩემი ტანჯვა, მიემართე ადგილობრივ და ზემდგომ ორგანოებს, თანამდებობის პირებს, მაგრამ უშედეგოდ. როგორც იქნა 2009 წელს სოფელ ოდიშში სხვა ადგილი გამომიყვეს საცხოვრებლად, მაგრამ მიწის ის ნაკვეთი, რომელიც მომცეს, სხვისი აღმოჩნდა და მისმა პატრონმა მასში 1500 დოლარი მომთხოვა. ამის შესაძლებლობა რომ მქონოდა, სხვებს არც შევაწუხებდი. გარდა მიწის ნაკვეთისა, საჭირო იყო სამშენებლო მასალა, გამგებამ 100 ცალი შიფერი, 5 ფანჯარა და 22 ცალი „დსპ“ მომცა, მაგრამ რად გინდა! შიფერი დაზარალებული და გამოუსადეგარია, ხოლო ხუთი ფანჯარა სად გამოვიყენო, სხვის სახლში ხომ არ ჩავეღამა?!

ბატონო პრეზიდენტო! გთხოვთ, დაავადოთ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ყურადღება მომაქციოს და სათანადოდ დამეხმაროს.“ – ნათქვამია წერილში.

### ზვიად გამსახურდიას მომხრეები სახელმწიფოსაგან დახმარებას ითხოვენ

ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში, ღურწაიების ოჯახი, სადაც სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა და შემდეგ სიცოცხლე დაასრულა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, გაპარცეული და განანაგებულია. როგორც ოჯახის დიასახლისმა ლუდმილა აბშილაძემ განაცხადა, გარკვეული მიზეზების გამო ისინი იძულებული გახდნენ ოჯახი დაეტოვებინათ და თავშესაფარი სხვაგან მოეხებინათ.

მათ არყოფნაში გაპარცეულ და დარბიეს ის ოთახი, სადაც სიცოცხლე დაასრულა ზვიად გამსახურდიამ. მათ სახლში ამჟამად თხები და ღორები ბინადრობენ. 6 წელზე მეტია ეს სახლი ამ მდგომარეობაშია ზუგდიდელთა, ზვიად გამსახურდიას თავყანისცემლები სახელმწიფოსაგან დახმარებას ითხოვენ...

... მათ რამდენჯერმე მიმართეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებობას, რომელიც სხვადასხვა მიტოვებით თავს არიდებს დახმარებას, თუმცა შეპირებები არის. თავდაპირველად აცხადებდნენ, რომ ეს სახლი კერძო საკუთრებაა და თანხის გამოყოფის უფლება არ გვაქვს. თუ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ამ სახლს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა ნუსხაში შეიტანს, შესაძლებელი გახდება მისი მოვლა-პატრონობა.

„კულტურის სამინისტრომ უარი განაცხადა ამ სახლის მოვლა-პატრონობაზე და საკითხის მოგვარება ხობის მუნიციპალიტეტის გამგებობას დააკისრა. ჩვენ მიემართე გამგებულ იგორ ტყეშუაგას, მოსახლეობის მოთხოვნები და ხელმოწერები წარუვადგინეთ, მათ განგვიცხადეს, რომ სახლის აღდგენისათვის საჭირო თანხას ბიუჯეტში ჩასვამდნენ. ნახევარ წელზე მეტია, ამაოდ ველოდებით ხობის რაიონის გამგებობიდან დანაპირების შესრულებას“ – განაცხადა იბერიულ-კავკასიური და ეროვნული მოძრაობის აქტიურმა წევრმა ბატონმა ვიაშინამ.

გვერდი მოამზადა  
ლადო ქირიამ,  
ქალაქი ზუგდიდი

ბაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვიბლაგვდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იღვამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ უღამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოეწვინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნენ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი - ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ დონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუზნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "შემოდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს. ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

**ფლორიან ალბერტი,**  
დაიბადა 1941 წლის 15 სექტემბერს უნგრეთში. თამაშობდა "ფერენცვაროშიში". ფლორიან ალბერტის ვარსკვლავი მაშინ ამო-ბრწყინდა მსოფლიო ფეხბურთის ცისკიდურზე, როცა საბოლოოდ დაიშალა უნგრეთის "დიდი გუნდი", რომელიც ბედის უკუღმართობის გამო ვერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი მეოცე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში. ფლორიან ალბერტი უნგრელი ფერმერის ოჯახის შვილი იყო, რომელიც ჯერ კიდევ მისი ბავშვობის დროს გადასახლდა ბუდაპეშტში. "ფერენცვაროშიში" ბავშვთა გუნდის მწვრთნელებმა მაშინვე დააფიქსირეს ფეხბურთის ნიჭი ამ კაფანდარა ბავშვში, როგორც კი იგი ფეხბურთის მოედანზე გამოვიდა. როგორც კი, 17 წლის ასაკში, ფლორიანმა საშუალო სკოლის ბოლო დამამთავრებელი გამოცდა ჩააბარა, მეორე დღეს გამოიყვანეს უნგრეთის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში შვეციის გუნდის წინააღმდეგ, ეს მატჩი ბუდაპეშტში შედგა და უნგრელებმა 3:2 გაიმარჯვეს. ალბერტი ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა და საკმაოდ წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში. ფლორიანი სამზის გახდა უნგრეთის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და "ფერენცვაროშიში" შემადგენლობაში ოთხჯერ მოიპოვა უნგრეთის ჩემპიონის ტიტული. მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი გახლდათ ინგლისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, 1966 წელს, ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ ჩატარებული მატჩი, რომელშიც უნგრელებმა ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს. მომდევნო წელს ფლორიანი ალბერტი დასახელებული იქნა ევროპის კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად.

**აივორ ოლჩიჩი**  
დაიბადა 1919 წლის 16 ოქტომბერს, უელსში. თამაშობდა უელსის "სუონსში", და "კარდიფში" და ინგლისის "ნიუკასლში". ეს გახლდათ ტანმალალი, შესანიშნავი სპორტული აღნაგობის მქონე ულკვანტური პიროვნება, რომელიც ფეხბურთის მოედანზე გამოიჩინოდა სპორტის ამ სახეობისადმი შემოქმედებითი მიდგომითა და იმპროვიზაციის საოცარი უნარით. მისი თამაშის შედეგიდან გამომდინარე, ადამიანი იფიქრებდა, რომ აივორი ბომბარდირად დაიბადა... შემთხვევითი არ იყო, რომ ფეხბურთის სამყაროში მას

"ოქროს ბიჭუნას" უწოდებდნენ, რადგან სწორედ მისი დამსახურება გახლდათ იმ გუნდების მიერ მოპოვებული მრავალი ოქროს ტროფეი, სადაც აივორი თამაშობდა. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ მას ბედი აშკარად არ სწყალობდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი 16 წელი თამაშობდა უელსის ნაკრებში და საკმაოდ რეზონულ წარმატებასაც მიაღწია 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, აივორს მაინც მეორეხარისხოვან საფეხბურთო კლუბებში უწევდა ჯაფა. უელსის ნაკრების შემადგენლობის მიერ გამართულ 68 მატჩში მან 32 გოლი გაიტანა, რაც არაა ცუდი მაჩვენებელი, მთელი თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში კი აივორის ანგარიშზეა 251 გატანილი გოლი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი ჭეშმარიტი ბომბარდირი იყო. მისი ეს რეკორდები თითქმის მეოცე საუკუნის ოთხ-მოცდაათიან წლებამდე იყო ძალაში.

**ლუიჯი ალემანდი**  
დაიბადა 1903 წლის 13 ივლისს იტალიაში. თამაშობდა "იუვენტუსში", "ინტერსა" და "რომაში". ლუიჯი მარცხენა ფლანგზე იღვა მცველად და ლამის გადაულახავ ზღუდეს უქმნიდა მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებს. პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის იტალიურ ფეხბურთში ვინმე თუ გაუტოლდება ლუიჯი ალემანდს თამაშის სტილითა და სპორტული მონდომებით. იგი 25 წელი ედგა დარაჯად საკუთარ გუნდს ალბათ კიდევ დიდ ხანს ითამაშებდა მაყურებელთა გულუბნის გასახარად. რომ არა, იტალიაში აგორებელი, გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული დიდი სკანდალი. ლუიჯი ალემანდის ბრალად წაუყენეს, რომ 1927 წელს მან "ტორინოს" ხელმძღვანელობისაგან დიდი რაოდენობის ქრთამი აიღო მატჩის შედეგის გასაყალბებლად. მიუხედავად იმისა, რომ ალემანდი უკვე სახელგანთქმული ფეხბურთელი იყო, მას მაინც სამუდამო დისკვალიფიკაცია მიესჯა, მაგრამ ორი წლის შემდეგ "ინტერის" ხელმძღვანელობამ კომისიას დიდი ბრძოლის შემდეგ გააუქმებინა ეს გადაწყვეტილება. 1929 წელს ალემანდი კვლავ დაბრუნდა იტალიის ნაკრების შემადგენლობაში და ითამაშა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წინააღმდეგ. 1934 წელს ალემანდომ, იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

გიორგი ჯალაღანი

**იუპორი**  
\*\*\*  
- რატომ აქვთ სომხებს დიდი ცხვირი?  
- იმიტომ, რომ ჰაერი უფასოა!  
\*\*\*  
- რა განსხვავებაა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის?  
- კაპიტალიზმის დროს ადამიანი ადამიანისთვის მგელია, სოციალიზმის დროს კი - ამხანაგი მგელი.  
\*\*\*  
პირველკლასელი მიხო გაბრაზებული ბრუნდება სახლში, ჩანთას აგდებს და ამბობს:  
- მე ხვალ სკოლაში არ წავალ!  
- რათა, შვილო? - ეკითხება დედა.  
- რათა და, მასწავლებელმა გეთხრა, დღეს "აი ია" ისწავლეთ და ხვალე კიდევ თითი უნდა მოგცეთ ბოლომდეო...  
\*\*\*  
პატრული ეკითხება მთვრალ მძღოლს:  
- როგორ დაჯექი ასეთი მთვრალი საჭესთან?  
- ძმაცკები დამეხმარნენ.  
\*\*\*  
- ძამა, შენ გურული ხარ?  
- კი, მარა ვმეურნალობ!

**ბუღბაათ (ბაჩუკი) კობახიძის მობონება**

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც უნანებლად დაგვტოვე, ჩვენი საამაყო, დევემირი შვილო, გუღბაათ!  
წელს 36 წლისა უნდა გამხდარიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ 35 წელი იქმარე. დანარჩენი ასაკი ჩვენ დაგვიტოვე, ვაუბად და გამწარებულ სვედ.  
დედამიწა აჩქარდა წამის მემილიონედით - შვილო! ჩვენთვის იგი მილიონჯერ არის აჩქარებული, რადგან თვალის დახამხამებაში მიიღია ერთი წელი შენი ტრაგიკულად დაღუპვის დღიდან.  
თითქოს შენზე უთქვამს პოეტს:  
**ვაი, როგორ მენანება სიჭაბუკე დამქრალი, დამარხული იმედები, მოუძველი სამკალი...**  
შენ დროის ამ მცირე მონაკვეთში ისე იცხოვრე, რომ შენს გამო არ დაგვჭირდება სირცხვილისგან თავის დახრა. ყველგან კაცური კაცის, სიკეთისა და სიყვარულის კვალი დასტოვე. არ გვეულებოდა დედამიწის ზურგზე ადამიანი, ვინც აუგად მოვიხსენიებს. ადამიანებისადმი პატივისცემის დიდ სიხარულს განიჭებდა, ამიტომაც სვედიანად ახსოვხარ ყველას და, ჩვენს მსგავსად, არც მათ განელებიათ შენი ტრაგიკული აღსასრულით მოძალებული მწუხარება.  
შენგან შენი მომღიმარესახიანი სურათების

მეტი აღარაფერი დაგვრჩა, შვილო. კვლავ შენს სურათთან უნდა დავანთოთ სანთლები და ასე აღვნიშნოთ შენი იმქვეყნიურ საქართველოში გადანიცვლების დღე. ტკბილ მოგონებებზე დაგვრჩა ყველაფერი შენთან დაკავშირებული, შენი ბუხუნა ხმა და ომახიანი შეძახილი გვაკლია მხოლოდ და ძალიან გვენატრება...  
დღე არ გავა, რომ შენს საფლავს ზედაშე არ დააპკურონ ბიჭებმა, რომელთაც საშინლად ენატრებოდა შენი დაღუპვა ჯერ კიდევ სიზმარი ჰგონიათ. არავინ თქვას, დრო ყველაფრის მკურნალიაო, რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ენატრები შენს ფრთამოტეხილ ძმებს, შენს საფიცილო მისწვილებს, პატარა მარტიას, შენ რომ ხუმრობით "ყურცქიტას" ეხახდი. სამსახურის ერთგული იყავი, სულ ჩქარობდი, რომ საქმეც მოგესწრო და მეგობარ-ახლობლებისთვისაც პატივისცემის დრო დაგვრჩენოდა. შენი დაღუპვის შემდეგ კი ჩვენთვის დრო გაჩერდა, აღარაფერი გვაინტერესებს, შენს გარდა ვერაფერზე და ვერაფერზე ვფიქრობთ, შვილო.  
შენი დაღუპვიდან ერთი წელიწადიც კი ვერ მოითია შენზე დარდით გულდამიმეებულმა საწყალმა ბებიამ და უნანებლად წამოვიდა შენთან. იქ მაინც მოვივლის და გიპატრონებს!  
საცოდავი სანახავეები ვართ ყველანი, მზის გულზე ადგილი ვერ გვიპოვინია, შენმა ძებნამ დაგვკანცა და სასიცოცხლო ძალა გამოგვაცალა...  
ახლა მხოლოდ იმის იმედად ვართ, რომ სიზმარში მაინც გიხილოთ ხოლმე. შენზე დარდი რომ მოგვეძალება, შენს ლოგინზე წამოვწვებით და შენი საბნით ვითბობთ გულს. სულ გვინდა ვიკითხოთ: რატომ? მაგრამ, შენ აღარა გვეყვხარ და ვის ვკითხოთ, თუ რატომ დაგვატყდა თავს ესოდენ დიდი უბედურება?



რედაქციის მისამართი: **თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1, სარეგ. №01018002930**  
მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანი**  
მთ. რედაქტორის მოადგილე: **დავით ქობალია**  
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოღრიშვილი**  
ბაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია**  
**www ilori.ge**  
e-mail: **elisabetthal@yahoo.de**  
რედაქციის განთავსება: **899-57-33-22**  
**893-51-01-71**  
**899-34-37-27**